# კვალი

IX წ. საყოველკვირაო გაზეთი. IX წ.

№ 52. კვირა, 23 დეკემბერი 1901 წელსა. № 52.


შინაარსი: საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.—ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოება.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—***, ლექსი კ. ჯაფარიძისა.—რიგიანი ხელფასი, მოთხრ. ფრანკოსი, თარგმ. იელისა.—კანვასსოპა ბათომის საბჭოში, ი. კაკაბაძისა.—კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთ. დამხმ. საზ. წესდების პროექტი.—ფრიდრიხ ნიცშე.—განახლებული „ივერია“.—ბიბლიოგრაფია.—შავი ჭირი. სამშობლოს ცაზე.—აკაკის წერილი.—წერ რედ. მიმ.—განცხად.

## საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

### ნატურალიზმი.

ნატურალისტური სკოლის ბურჯათ ითვლება ემილ ზოლა. შემოდგა თუ არა მან მწერლობაში ფეხი, მაშინათვე საკუთარი გზა აირჩია; მისმა ახალმა მიმართულებამ საშინელი ალიაქოთი ატეხა ბურჟუაზულ საზოგადოებაში, მაგრამ ზოლა შეუჩერებლათ მიდიოდა წინ, ის უშიშრათ და პირდაპირ ებრძოდა მას, რაშიაც ის საზოგადოებრივ გახრწნილებასა და უზნეობას ხედავდა. ზოლას ნიჭი თანდათან იშლებოდა და მასთან ერთათ ძლიერდებოდა ნატურალიზმიც. ზოლა ერთი მიდიოდა თავისი გზით, მან შექმნა ნატურალიზმი ლიტერატურულ შკოლათ და მას თანვე გაყვება ეს შკოლა, ამიტომ სანამ ნატურალიზმის თვისებებს განვიხილავდეთ, მოკლეთ თვალი გადავავლოთ ზოლას ბიოგრაფიას.



ფრიდრიხ ნიცშე.

ემილ ზოლა დაიბადა 1840 წელს 2 აპრილს. თავისი ბავშობა ზოლამ გაატარა პროვანსის ქალაქ ეკსში, სადაც ის თექვსმეტ წლამდი ცხოვრობდა. დედმამა ემილს არაფერში არ ავიწროებდა, ზავში თავისუფლებაში ცხოვრობდა და ამგვარი პირობების წყალობით პატარაობიდანვე განვითარდა მასში დამოუკიდებლობისადმი სიყვარული. ზოლას დედმამა ღარიბები იყვენ. შვიდი წლისა იყო ზოლა, როდესაც მამა მისი გარდაიცვალა და ოჯახი უარეს გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ ზოლას დედა ყველაფერს იტანდა, ოღონ კი შვილისათვის არაფერი არ დაეკლო და ხეირიანი აღზრდა მიეცა. 1857 წლამდე ზოლა სწავლობდა ეკსის კოლლეგიაში, სადაც ის საუკეთესო მოსწავლეთ ითვლებოდა, მაგრამ დედა მისმა ნამეტან სიღარიბეს ველარ გაუძლო და პარიჟში გადასახლდა თავისი შვილით იმ იმედით, რომ იქნება იქ გამოვნახო ცხოვრების რაიმე სალსარიო. პარიჟში ზოლა მიებარა ლიცეიში, მაგრამ ბეჯითი და სწავლაში მუყაითი ზოლა მოულოდნელათ გაზარმაცდა და კითხვასა და წერას მიჰყო ხელი. 12 წლისა იყო ზოლა, როდესაც მან რომანებისა და კომედიების წერა დაიწყო; თავისი ლიტერატურული შრომა მან პარიჟშიც განაგრძო, ჯერ ლექსებსა წერდა, მაგრამ მალე თითონვე დარწმუნ-

და, რომ ლექსი არ იყო მისი საქმე, და პროზას მიყო ხელი. ყოველივე ამან ლიცეი იმდენათ შეაძულა მომავალ რომანისტს, რომ მას სასწავლებლის კედელთა დანახვაც კი ეზარებოდა. გადაწყვიტა, სასწავლებლიდან გამოვალ და გათავების ეგზამენებს ჩავაბარებო, მაგრამ მისმა ორმა ცდამ უქმათ ჩაიარა: ზოლა ორჯერვე ჩაჭრეს. სწავლის გაგრძელება ზოლას აღარ შეეძლო, თავი როგორმე უნდა ერჩინა, მაგრამ ერთ ალაგას ერთი-ორი თვეზე მეტი გაძლება არ შეეძლო, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ცალიერი ჯიბითა და ცალიერი კუჭით დადიოდა. ხანდახან იძულებული იყო, ტანისამოსი და საცვლებიც კი გაეტანებია ვისთვისმე დასაგირავებლათ, თვითონ კი საბანში გამოხვეული იჯდა ბინძურ ოთახში, სანამ ან დედა არ გამოუგზავნიდა რასმე ან სხვა ვინმე, რომ ტანისამოსი გამოეყიდა. სიღარიბისა გამო ის იძულებული იყო ისეთ ალაგებში ეცხოვრა, სადაც მასავით ღატაკნი ცხოვრობდენ; ამიტომ ზოლამ მალე გაიცნო საშინელი შევიწროება, გარყვნილება და მრავალი სხვა ნაკლულევანებანი, რაც ბურჟუაზიული წყობილების ნაყოფი იყვენ. სიღარიბისა და გარყვნილების სურათებთან ერთათ ზოლას გონებაში იბეჭდებოდენ სიმდიდრისა და ფუფუნების სურათებიც და ამით მის გონებაში ნელანელა ისახებოდა ის მხილება, რომლითაც შემდეგში ზოლამ გაილაშქრა თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ. ბევრი წვალების შემდეგ ზოლა დადგა ნოქრათ ერთ წიგნის მაღაზიაში და ამ დღიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. თავდაპირველათ ის წერდა და ბეჭდავდა ერთ გაზეთში კრიტიკულ სტატიებს. მალე დაანება წიგნის მაღაზიას თავი და გადაწყვიტა ლიტერატურული შრომით ერჩინა თავი. გახდა «Evénement»-ის მუდმივ, თანამშრომელი და კრიტიკული წერილების გარდა იწყო რომანების წერაც. აღნიშნულ რედაქციასთან ზოლა ვერ მორიგდა და მალე თავი დაანება. მისმა პირველმა რომანებმა და კრიტიკულმა წერილებმა საზოგადოება მალე აამხედრეს მის წინააღმდეგ. სიპატარავიდან ზოლას ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ის თავიდანვე უკვირდებოდა ცხოვრებას, თავიდანვე შეამჩნია თანამედროვე ცხოვრების ცუდი მხარეები და აიღო თუ არა კალამი ხელში, მაშინათვე ამ ცუდი მხარეების წინააღმდეგ გაილაშქრა. საზოგადოების კონსერვატიულმა ნაწილმა ეს იწყინა და მისი ნაწერები ისეთ პროტესტს იწვევდენ, რომ რედაქციები იძულებული ხდებოდენ, მათი ბეჭდვა შეეწყვიტათ ხოლმე საზოგადოების დასამშვიდებლათ; მაგრამ ზოლა ვერაფერმა ვერ შეაჩერა, მას ღრმათ სწამდა ის მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა და გადაწყვიტა, რედაქციებისათვის თავი დაენებებია და საკუთარი გამომცემელი მოენახა თავისი რომანებისათვის. მან მალე იშოვნა გამომცემელი და 1870 წლიდან დაიწყო გამოსვლა მისმა რუგონ მაკარებმა („Les Rougon-Macquart"), რომლებიც მხოლოთ 1893 წელს დამთავრდენ და მთელ ევროპაში მოუხვეჭეს თავის ავტორს გამოჩენილი რომანისტის სახელი. გათავდა თუ არა ეს სერია, რომელიც ოცი რომანისაგან შედგება, ზოლამ მიყო ხელი ჯერ „ლურდის", შემდეგ „რომისა" და „პარიჟის" წერას და ბოლო ხანებში გამოვიდა მისი „ნაყოფიერება" და «შრომა». უმთავრესი და თითქმის ერთადერთი თემა ზოლას რომანებისა არის საფრანგეთის თანამედროვე ცხოვრება. ხელოვნების მნიშვნელობას ზოლა ხედავს სარგებლობაში ე. ი. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში და ადამიანის ზნეობრივათ ამაღლებაში. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დროს ეს მიზანი ზოლას მუდამ მხედველობაში ქონდა. ის დაიბადა და გაიზარდა ბურჟუაზიულ წყობილებაში. ბურჟუაზიული ცხოვრების ცუდი მხარეები თავის საკუთარი თვალით ნახა, მათი გემო საკუთარ თავზე გამოცადა. ის ხედავდა ცხოვრებაში ერთი მხრით გარყვნილ არისტოკრატიას და ფულით გაუმაძღარ ბურჟუაზიას, რომელთაც საფრანგეთის რევოლიუციის მიერ ნაანდერძევი ძმობა სასაცილოთ აეგდოთ, სამართლიანობა და პატიოსნება ფეხქვეშ გაეთელათ. რომელთაც მხოლოთ საკუთარი თავის მეტი არაფერი ახსოვდათ, არაფერი წამდათ, ცხოვრების მიზანს ფუფუნებაში და გარყვნილებაში ხედავდენ და მრავალ უმანკო არსებებს, რომლებსაც სრული უფლება ქონდათ, ბედნიერი ყოფილიყვენ, შეუბრალებლათ მსხვერპლათ წირავდენ თავის გახრწნილებას. ასეთი დაღუპული მსხვერპლს თანამედროვე ცხოვრებისა ზოლა თავისი საკუთარი თვალით ხედავდა ყოველ ნაბიჯზე და მან განიზრახა ხმა აემაღლებია ცხოვრების გასაწმენდათ, ბილწთა ასაღაგმავათ და ჩაგრულთა დასაფარავათ. თავის რომანებში მან საუცხოვოთ აღნიშნა ნაპოლეონ მესამის ეპოქის ცუდი მხარეები, თანამედროვე რომისა და პარიჟის საზიზღარი მოვლენანი, დაახასიათა უტყუვრათ და მიუდგომლათ საფრანგეთის არისტოკრატია და ბურჟუაზია და წარუდგინა მასვე თავისი სურათი: აჰა, დაინახე შენი თავი და დატკბიო. სურათი იმდენათ ნამდვილი გამოვიდა და მასთან ისე შვენივრათ მიაღწია თავის მიზანს, რომ ბევრმა ზოლას წინააღმდეგ საჩივარიც კი განაცხადა: თავის რომანებში ჩვენ გამოგვიყვანაო! თუ ბურჟუაზიული წყობილების უზნეო და გახრწნილ ელემენტებს ყავდა მტერი, მათში ზოლას, როგორც რომანისტს ერთი საუკეთესო ალაგი უჭირავს. რაში მდგომარეობს ზოლას მიმართულების თვისება? ზოლას მიზანია, ხელოვნება მეცნიერებათ გადააქციოს, ხელოვნება უტყუარ და ჭეშმარიტ საფუძველზე დაამკვიდროს. მეთოდი ბუნების მეტყველებისა ზოლამ გადიტანა ხელოვნებაში და გამოაცხადა: რომანისტი არ უნდა გაცილდეს ფაქტებს, ცხოვრების დაკვირვებულათ შესწავლას, დაკვირვება და ექსპერიმენტი მისი ერთათ ერთი იარაღია. რა ნაირათ სარგებლობდა ზოლა ამგვარი ნატურალური მეთოდით? სანამ დაწერდა რომანს, ის კრებდა ცხოვრებაში ფაქტებს ანუ მასალას; ამაში მდგომარეობდა მისი დაკვირვება. რაკი შეისწავლიდა იმ მოვლენას, რომლის დახატვაც უნდოდა, შემდეგ შეთხზავდა თავისი გმირებისათვის სხვადა-სხვა დამოკიდებულებას და გამოიყვანდა მათ სამოქმედო ასპარეზზე; ამას უწოდებს ზოლა ავტორის ექსპერიმენტს და მთელ ნაწარმოებს ექსპერიმენტალურ ანუ ნატურალურ რომანს. ამ ექსპერიმენტში მდგომარეობს ნატურალიზმის განსხვავება ფოტოგრაფიულათ ხატვისაგან. რადგანაც ნატურალიზმის მიზანია დახატოს ის, რაც ნამდვილათ ხდება ცხოვრებაში, ამიტომ ზოლა ითხოვს რომანისტისაგან სრულ ობიექტივობას,—მისი საქმე ზოლას აზრით, ხატვაა დინჯი და წყნარი, მას არ შეშვენის კიცხვა ან ქება. რუგონ მაკარების სერიაში ავტორს გატარებული აქვს ერთი მეცნიერული აზრი სახელდობ მემკვიდრეობა და მისი სხვა-და-სხვა გვარი გავლენა შთამო-

მავლობაზე. მეცნიერული აზრის სარკევათ ხელოვნება ნაკლებათ არის გამოსადეგი, რანაირი ნატურალური მეთოდითაც უნდა აღიჭურვოს ის, ამიტომ ეს მხარე ზოლას რომანებისა სუსტია, მაგრამ სამაგიეროთ ძლიერია მათი სოციალური მნიშვნელობა. ზოლას მეთოდმა ვერ მოიხვეჭა თანაგრძნობა ხელოვნებაში, სადაც მას ძალიან ცოტა მიმდევარი გამოუჩნდა. ზოლას შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადამიანის სულს და ამ სულის მოძრაობას და მეტათ ავიწროებს მწერლის გულს, როდესაც მისგან სრულ სიმშვიდეს ითხოვს შემოქმედების დროს. ადამიანის სულიერი მოძრაობა იმდენათვე საყურადღებოა, რამდენათაც ცხოვრების მშრალი ფაქტები, მისი მოძრაობის გადმოშლა იმდენათვე სასარგებლოა, როგორც ფაქტების შესწავლა; გულს ისეთივე ალაგი უნდა ქონდეს შემოქმედების დროს დათმობილი, როგორიც გონებას ე. ი. მწერალი კი არ უნდა ხატავდეს მხოლოთ მშრალ ფაქტებს, ის მთელი თავისი ნერვებით უნდა კიცხავდეს გასაკიცხს და ემხრობოდეს კარგს. ამას უარყოფდა ზოლა და ამას მიაქციეს უმთავრესი ყურადღება სხვა მწერლებმა. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის პოლ ბურჟე (დაიბადა 1851 წელს). მისი კალმის უმთავრესი ასპარეზი ადამიანის სულია. მისი „კოსმოპოლისი“ და «ცოდვა სიყვარულისა» სამაგალითო ნიმუშები არიან ხელოვნებისა, სადაც ადამიანის სული, მისი გრძნობანი ანატომიური დაწვრილებით არიან განხილულნი. ვიდრე ჩაგვახედებდეს თავისი გმირის სულში, ბურჟე მოგვითხრობს ჯერ მის ვრცელ ბიოგრაფიას, რომელშიაც არ არის არაფერი გამოტოვებული, რაც კი კვალს დატოვებდა გმირის სულში. შემდეგ ავტორი გადაგიშლით გმირის სულს და დაგანახვებთ მასში ყოველგვარ მოძრაობას. ბურჟე არის უმთავრესათ საფრანგეთის მაღალი საზოგადოების მხატვარი, მას ცხოვრება იმდენათ არ აინტერესებს, რამდენათაც ადამიანის სული და გრძნობანი; ის თუ ხატავს სხვა-და-სხვა ფაქტებს, მხოლოთ იმ მიზნით, რომ მომქმედი პირის ფსიხოლოგიაში არაფერი დარჩეს დაუნახავი და ამიტომ მის რომანებს და მოთხრობებს სოციალური მნიშვნელობა თითქმის სრულებით არა აქვთ, რაც დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს.

ეს ორი მიმართულება—რეალური და ფსიხოლოგიური ერთათ იყო შეზავებული მოპასანის ნიჭში (1850—1893). მოპასანს დაწერილი აქვს რამოდენიმე რომანი და ბევრი წვრილი მოთხრობები. როგორც პირველნი, ისე მეორენი შესანიშნავნი არიან ერთის მხრით თავისი ბუნებრიობით, მეორე მხრით თავისი სახელოვნო ღირსებით. ავტორი არ ეძებს რთულ შემთხვევებს თავისი ნაწერებისათვის, ის ხატავს მას, რასაც ყოველდღიური ცხოვრება იძლევა, მაგრამ ხატავს ისე ცოცხლათ, ისე ძალდაუტანებლათ, რომ ასე გგონიათ, თითქოს მისი გმირები ცოცხლათ მოქმედობდენ თქვენ თვალწინ. გულგატეხილობა და სევდიანი იუმორი ზედმეტ მიმზიდველობას აძლევს მოპასანის ნიჭს. ზოლასავით მოპასანიც უმთავრეს ყურადღებას ადამიანის ბუნების ცუდ, უზნეო მხარეებს აქცევდა; ის ცდილობდა თავისი ნაწერებით უზნეობის მხილებას და ამით ადამიანის ზნეობრივათ ამაღლებას. მოპასანი განსაკუთრებით სასტიკი მამხილებელი იყო ქალთა უზნეობისა და მასში ბევრი ხედავს საფრანგეთის ქალის ზნეობის ამმაღლებელს.

P. S. საზოგადო საქმეში ზოლა მონაწილეობას არ იღებდა. ის მხოლოთ ერთხელ გამოვიდა ამ ასპარეზზე, მაგრამ ისეთი სამსახური გაუწია სამშობლოს, რომ ერთი სტრიქონიც რომ არაფერი დაეწერა, მისი სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა რესპუბლიკის ისტორიაში. ეს იყო დრეიფუსის საქმე და ზოლას შესანიშნავი «j'accuse», რომელმაც ზოლა აამაღლა მთელი ევროპის თვალში, როგორც კაცი და როგორც მოქალაქე. თავისი უშიშარი, გამბედავი და პირდაპირი მოქმედებით ამ პროცესის დროს ზოლა ორ მიზანს ემსახურებოდა: ერთი მხრით მან გადაარჩინა რესპუბლიკა იმ ხიფათისაგან, რომელსაც მას ფარულათ უმზადებდენ რესპუბლიკის მტერნი როიალისტები და კლერიკალები, მეორე მხრით მან დაიფარა ადამიანის პიროვნება, რომელიც უსამართლოთა და ძალმომრეობით იყო შელახული.

---

## ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოება.

დღესწორს, საბჭოს დარბაზში, მოხდა „ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების“ დამაარსებელთა კრება, რომელსაც საბოლოვოთ უნდა განეხილა რედაქციების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისსიის მიერ შემუშავებული პროექტი. კრებამ მხოლოთ 22 მუხლი გაარჩია და თითქმის ყველა უცვლელათ მიიღო. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებას თითქმის მარტო რედაქციების წარმომადგენლები დაესწრენ და ის ელემენტები კი, რომელთათვისაც უმთავრესათ უნდა არსდებოდეს ეს საზოგადოება, რომელთა ინტერესი უნდა ქონდესთ დამაარსებლებს სახეში, არ იყვენ. მართალია, ყველა გაზეთებში მოხსენებული იყო ეს კრება, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ასოთ-ამწყობებს და ამ შრომის სხვა დაბალ კატეგორიებს არ ცოდნიათ, თუ მათაც ქონდათ ნება, მონაწილეობა მიეღოთ მსჯელობაში. დარწმუნებული ვართ დღევანდელი კრება ამ ნაკლს აიცილებს, და მით პროექტის გარჩევაც ყოველმხრივი იქნება. გვჯერა, რომ ბბ. ლიტერატორებს კარგი უნდათ თავისი უცროსი თანამოძმეებისთვის... აუცილებლათ საჭიროა დღევანდელ კრებას ეს ელემენტებიც საკმაოთ დაესწრონ და მაშინ იმედი გვაქვს, წესდების პროექტი აიშორებს იმ გვარ ნაკლს, რომელიც მის 22 მუხლს დაყვა. ეს კი ძლიერ საჭიროა, რადგან დღეს გასარჩევია მუხლები პენსიისა, სესხის და სხვა გვარ დახმარებათა შესახებ; საზოგადო კრების და გამგეობის უფლება-მოვალეობათა და სხვა, და ყოველივე ამას უპირველესი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების მოქმედებაში. თვით ამ საზოგადოების საჭიროებაზე, მის raison d'être-ზე ლაპარაკი მეტათ მიგვაჩნია, რადგან ყველამ, ვინც ცოტათი მაინც იცნობს ბეჭდვითი საქმეს ჩვენში, იცის ისიც, თუ რა მდგომარეობაში არიან ბეჭდვითი საქმის მოღვაწენი. მართალია, დღეს წინანდელი მდგომარეობა აღარ არის, როცა ბეჭდვითი საქმე თავგანწირულებას მოითხოვდა კაცისაგან, და ზოგიერთჯერ კარგ შემოსავლიან კომერციულ საქმეს წარმოადგენს, როგორც გაზეთის გამოცემა, ისე სტამბის და წიგნების გამოცემა-გაყიდვის საქმე; მართალია ისიც, რომ ბევრი გაზეთის თანამშრომელიც რიგიან გასამრჯელოს ღებულობს, მაგრამ ყოველი ეს ამ პროფესსიის მაღალი კატეგორიების შესახებ ითქმის... ყურადღებაში მისაღე-

ბია ისიც, რომ დღემდინ თუ ხშირათ (უმეტეს შემთხვევაშიც) შემთხვევითი იყო ბეჭდვითი საქმეში მუშაობა და მოღვაწეობა, მომავალში უფრო მუდმივი გახდება და უფრო მიეკვრება თავის პროფესსიას მშრომელი, და მით უფრო საჭირო და სასარგებლო იქნება მომავალი საზოგადოება. მისი მოქმედებაც უფრო მრავალ მხრივი უნდა იქნეს და ამიტომ საჭირო იყო უფრო ფართოთ განესაზღვრათ საზოგადოების მოქმედება, ვიდრე კომისსიის წარმოდგენილ პროექტშია. იქ, როგორც § 1-დან დაინახავთ, საზოგადოების მიზანს მარტო მატერიალური დახმარება შეადგენს და ეს ჩვენ ცალმხრივობათ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ შრომის ყოველ დარგში და ნამეტურ ისეთ საინტელიგენტო შრომაში, როგორც ბეჭდვითი საქმეა, გონებრივ და ზნეობრივ მხარეთა განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თვით მატერიალურათ მათ უზრუნველ ყოფისთვისაც. საზოგადოთ მშრომელის განვითარებით მოგებული რჩება ორივე მხარე: მშრომელთ ეძლევა საშუალება მეტი გასამრჯელო აიღოს, თან უფრო შეგნებულათ მოეკიდოს თავის ინტერესებსაც და მწარმოებელ-დამქირავებელს კი ეს უკანასკნელიც არ აშინებს, რადგან ის უფრო ინტენსიურ და ნაყოფიერ შრომას იძენს. ეს გარემოება მაინც არ უნდა დავიწყნოდა კომისსიას, თუ ჩვენი ბეჭდვითი საქმის «მოღვაწეთა» საზოგადო მდგომარეობას არ მიაქცია ყურადღება, რადგან ბევრი ჩვენი, არა თუ ასოთ-ამწყობი და სხვა დაბალი ხარისხის მუშაკი, არამედ თვით ბრწყინვალე „ლიტერატორის“ სახელის მატარებელიც საჭიროებს ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაში და ბევრი პირველებზე მეტათაც. როგორც პატივცემულმა თავმჯდომარემ, ვ. ყორღანოვმა აგვიხსნა, ამ მხარეზე კომისსიაშიც მიუქცევიათ ყურადღება, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ ეს წესდების დამტკიცებას ხელს შეუშლიდა, უარუყვიათ. ჩვენი აზრით, აქ ნამეტანი გაუბედაობა და სიფრთხილე გამოუჩენია კომისსიას. თვით თხოვნით, მგონი, არაფერი გაფუჭდებოდა, და თუ დამამტკიცებელი მეტათ დაინახავდა ამ გვარი დახმარების წესდებაში შეტანას, მაშინ ან თვით ამოშლიდა ან წესდების შესაფერათ შეცვლის წინადადებას მისცემდა ინიციატორებს. მაგრამ ახლა გვიან არის ამაზე ლაპარაკი. კრებამ უცვლელათ მიიღო პირველი მუხლი და მით შეზღუდა საზოგადოების მოქმედებაც. დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში, როცა ცოტაოდნათ მოღონიერდება და ფეხს მოიკიდებს, საზოგადოება ეცდება ამ ნაკლის აცილებას. არ შეგვიძლია აქვე არ შევნიშნოთ, რომ ეს ნაკლი ხელს შეუშლის საზოგადოებას წევრების მოზიდვაში, რადგან ყოველ დაწესებულებას და საქმეს იმდენათ ელტვის საზოგადოება, რამდენათ მეტ დახმარებას და შემწეობას მოელის, მეტი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თვით ტიპი საზოგადოებისა—საურთიერთო დახმარების პრინციპზე დამყარება—სრული სიმპატიის ღირსია და თუ მისაღები და სასურველია, რომ ყოველ წევრს შეძლების დაგვარათ შემოქონდეს წვლილი საზოგადოების კასსაში, მეორე მხრით, სასურველია, რომ საჭიროების დაგვარათ ეძლეოდეს შემწეობა და არა მიხედვით მისი შემონატანისა. პირველ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს წესდების § 9, რომელიც აწესებს მეტ-ნაკლებ საწევრო შემოსატანს, მეორეს კი უარყოფს § 29, რომელიც სესხს იძლევა მიხედვით შემოტანილი ფულის რაოდენობისა. აქ, ჩვენი აზრით, კომისია ღალატობს საურთიერთო დახმარების პრინციპს და საჭიროა ამ მუხლის შეცვლა (იგი არაა ჯერ მიღებული). გამოუსადეგარი და უვარგისია § 26, რომელიც კატეგორიულათ აცხადებს, რომ მუდმივი დახმარება ისპობა წევრის გადაცვალებისათანავე. საჭიროა მიღებულ იქნეს წევრის ოჯახიც სახეში და თუ მისი სიკვდილის შემდეგ ოჯახს ესაჭიროება შემწეობა, ესეც უნდა გაუწიოს საზოგადოებამ. მართალია, წესდების სხვა მუხლში ოჯახზედაც არის ლაპარაკი, მაგრამ ეს კატეგორიული მუხლი (26) გვაშინებს და საჭიროა უფრო გარკვევით იქნეს შეტანილი. სხვა მიუღებელი მუხლების გარჩევას არ გამოვუდგებით იმ იმედით, რომ თვით კრებაში გვექნება საშუალება მათზე ყურადღება მივაქციოთ. დავუბრუნდეთ მიღებულთ § 16 საწევრო ფულის დამგვიანებელს ახდევინებს $6^0/_0$ და ალბათ წესდების შემდგენელნი ფიქრობდენ, რომ ამით ისინი დააინტერესებენ წევრებს ფულის დროზე შემოტანაში. რამდენათმე ეს შეიძლება, მართალიც იყოს, მაგრამ არა გვგონია ასეთ ცხოველი ინტერესების დამაკმაყოფილებელ საზოგადოებაში საჭირო შეიქნეს ამ ზომის ხმარება და თუნდაც რომ საზოგადოებისთვის საჭიროც იქნეს, მაინც უნდა უარეყო კრებას, რადგან უფრო მწვავეთ მოხვდება მეორე ბოლო საზოგადოების გაჭირვებულ წევრებს: შესაძლებელია, და დარწმუნებული ვართ, ხშირათაც მოხდება, საზოგადოების წევრი საშოვარს მოკლებული დარჩეს რამდენიმე თვის განმავლობაში და მხოლოთ ამ მიზეზით ვერ შემოიტანოს საწევრო გადასახადი. ნუ-თუ, ამისთვის დაჯარიმებაა სასურველი და შესაფერი?

უხერხულია საზოგადოებიდან გასვლის მსურველთაგან მთელი მათი შემონატანის წართმევა (განსაკუთრებულ შემთხვევებში საზოგადო კრებას შეუძლია დაუბრუნოს). ხშირათ (როგორც კრებაზეც ამბობდენ ზოგიერთები) მოხდება, რომ კაცი თავის უნებურათ ანებებს თავს პროფესიას და მაშინ მისთვის იმ პატარა თანხის დაბრუნებაც, რომელიც მას შეუდგება საწევრო ფულიდან, კარგი დახმარება იქნება. საზოგადოთ პროექტს არ ეტყობა, რომ მის შემდგენელთ საკმაოთ დაეცოსთ უმრავლესობის ინტერესი და საჭიროა კრებაზე მაინც დავეხმაროთ ამაში. ეს კი, ვიმეორებთ, შეეძლებათ უმთავრესათ მათ, ვინც უფრო საჭიროებს დღეს და კიდევ უფრო ისაჭიროებს მომავალში ამ საზოგადოების დახმარებაში.

---

## სხვა-და-სხვა ამბები.

დღეს, 23 დეკემბერს, საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა ადგილობრივ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა, რომელმაც უნდა განიხილოს წესდების პროექტი 23 მუხლიდან დაწყებული. კრებაზე დასწრება შეუძლიათ როგორც რედაქციების წარმომადგენლებს, ისე სტამბების (ასოთამწყობთაც), წიგნების გამომცემელთ და წიგნებით მოვაჭრეთაც.

—

კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მიუნდვია ამოფენის კომისარიატისთვის საიუბილეო გამოფენის სრუ-

ლი აღწერილობის შედგენა, რომელიც ამავე საზოგადოების ხარჯით დაიბეჭდება მომავალ წელში.

—

20 დეკემბერს გავიდა ვადა ექსპონატების გამოფენიდან დაბრუნებისა. რაც ამ დრომდინ არ წამოიღეს სამეურნეო საზოგადოების საკუთრებათ დარჩება.

—

ჭიათურაში, როგორც ვიცით, შედგა მარგანეცის მრეწველთა ამხანაგობა «შაფი-ქვა». ამ ამხანაგობას, როგორც «ცნ. ფ-ლის» კორესპონდენტი იუწყება, გადაუწყვეტია 3% მოგებიდან გადადოს ქუთაისში ქართული გაზეთის გამოსაცემათ და ამავე მიზნისთვის ერთდროულათ 3 ათასი მან.

—

გასულ კვირას, 16 დეკემბერს, მოხდა ქართული დრამატიული საზოგადოების წლიური კრება, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1901/2 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა (35,900 მან.).

ამავე კრებამ გადაწყვიტა დაარსდეს განსაკუთრებული თანხა არტისტებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ. თანხის გასაძლიერებლათ ყოველ სეზონში უნდა გაიმართოს ერთი წარმოდგენა, დიდმარხვაში კონცერტი და აგრეთვე ხელის-მოწერა. ამავე თანხას მიემატება არტისტების ჯარიმებიც.

კრებამ ვერ დააკმაყოფილა უსახსრობის გამო დამსახურებული არტისტი-ქალის მ. ი. საფაროვ-აბაშიძის თხოვნა პენსიის დანიშვნის შესახებ და გამგეობას მიანდო შეძლების დაგვარათ შემწეობის აღმოჩენა. დასასრულ ამოირჩიეს სარევიზიო კომისიის წევრებათ ივ. მაჭავარიანი და ზ. ერისთავი.

—

თფილისის გუბერნატორმა წარუდგინა სათანადო მთავრობას ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების წესდების პროექტი.

ამ საზოგადოების სასარგებლოთ 12 იანვარს ბალი გაიმართება თფილისის საკრებულოში.

—

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. გამგეობამ ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრებათ დანიშნა: თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე, დ. ზ. ხელთუფლიშვილი, ექიმი ნ. გ. ჭიჭინაძე, ს. დ. ჯაფარიძე, იასონ ბაქრაძე და დ. ნ. ბაქრაძე.

—

თფილისის გამგეობაში აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ საბჭოს სხდომები ხმოსნების ნაკლები რიცხვით (18) ითვლებოდეს კანონიერათ, რადგან საზოგადოთ ხმოსანთა რიცხვი შემცირდაო.

—

ქ. მ. ი. დემურია თხოვს ქალაქის მართველობას შემწეობას ჩუღურეთში და ნაძალადევში საკვირაო შკოლების დასაარსებლათ.

—

ქუთაითურ ახალგაზდობას განუზრახავს გამოცეს ქუთაისში ქართული გაზეთი. ეს კითხვა ქუთაისში არა ერთხელ აღძრულა, მაგრამ სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ვისურვებთ, ახალგაზდობას კეთილათ დაეგვირგვინებინოს თავისი დაწყებულება.

—

ამ წლის რვა თვის განმავლობაში შორაპნის მაზრიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 17.223,819 ფუთი მარგანეცი. წინა წელზე 3.140,000 ფ. ნაკლები („ცნ. ფ.“).

—

გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს ჟურნ. „ჯეჯილის“ მე-12 ნომერი.

—

## კორესპონდენციები.

**დაბა ხონი.** ქალების სწავლა-განათლებას, ისე როგორც ვაჟებისას, პროგრესიული მსვლელობა ეტყობა ხონში. აქ ორი ოთხ კლასიანი ქალების სასწავლებელი არსებობს. ერთი მათგანი, რომელსაც «პროგიმნაზიას» უწოდებენ კერძოთ ქ-ნი ელ. ბახტაძის გახსნილია, რომელიც თვითონვე მართავს სასწავლებლის ყოველივე საქმეებს; მეორე კი სამინისტროს გამგეობაშია. ამ ზემოხსენებულმა ქალთა სასწავლებლებმა დიდი პატივი მოიხვეჭა პატარა ხონის საზოგადოებაში. ორივე სასწავლებელში ყოველ წლობათ საკმარისათ მატულობს მოსწავლე ქალთა რიცხვი. ქალების სწავლა და განათლების შემომღებათ დაბა ხონში უნდა ჩაითვალონ ქ-ნი ელ. ბახტაძე და ბ-ნი ი. მარაშიძე, რომელიც არავითარ შრომას არ ზოგავს სასწავლებლების დაარსებისათვის ხონში. ი. მარაშიძემ ჩაუგდო საძირკველი ქალების პირველ დაწყებით ორ კლასიან სასწავლებელს მაშინ, როდესაც არც ერთი ხონელი არ აპარტყუნებდა ყურს, არც ერთს აზრათაც არ მოდიოდა, თუ ქალებს განათლება ეჭირვებოდათ; ივანე მარაშიძემ განიზრახა, რომ პირველდაწყებითი მყოფა ოთხ კლასიან სასწავლებლათ გადაექციათ, და კიდეც გადააკეთებინა. ახლა ხონში იმისავე წყალობით ვუყურებთ იმისთანა ტიპის სასწავლებელს, რომელიც უსაჭიროეს სწავლა-განათლებას აძლევს ღარიბ-ღატაკთა შვილებს. გარდა საზოგადო საგნებისა ამ სასწავლებლის სამოსწავლო პროგრამაში შედის იმისთანა საგნების სწავლაც, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგება ქალიშვილს. მართალია წინა წლებში არ სრულდებოდა პროგრამა, ნაცვლათ ოჯახობისა ტანციმანცს ასწავლიდენ, მაგრამ ახლა ახალი უფროსი ქალი უფრო ბეჯითათ მოეკიდა საქმეს, და ბეჯითათ საქმის ხელის მოკიდება კი ამედიან ნაყოფს გამოიღებს.

ქ. ელ. ბახტაძემ მთელი თავისი ძალღონე თვის მიერ დაარსებულ ქალების პროგიმნაზიას ანაცვალა და ბევრ სასწავლებლებში ვერ ნახავთ ისე კარგათ დაყენებულ საქმეს, როგორც ამ პროგიმნაზიაშია. აქ საზოგადო საგნებს გარდა, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამშობლო ენას, ისტორიასა და ლიტერატურას, რაშიც მოსწავლენი საუცხოვო მომზადებას იჩენენ.

ილია ბახტაძე.

—

**მიქელ-გაბრიელი** (გურია). კარგი ხანია მიქელ-გაბრიელზე არა გვითქვამს-რა, კარგი ხანია მისი ბიბლიოთეკა, სამკითხველო მიგდებულია უპატრონოთ. მისთვის არ არის არც ჟურნალ-გაზეთები დროზე, არც გამგე, არც სხვა რამ ბიბლიოთეკის მოწყობილობა და ასე გასინჯეთ, არც მკითხველი. ჟურნალ-გაზეთები მოდის სამკითხველოს, მარა სამკითხველოში მკითხავთ თუ დაინახავთ: სასამ სამკითხველოში შევიდო-

დეს, ერთ თვეს სადღაც კერძო ოთახში ეგდება, მეორე თვეს დუქანში და მესამეს შეიძლება სამკითხველოშიაც ელირსოს შეტანა. ასეთ შემთხვევაში გასაკვირალიც არ არის, რომ მას (სამკით.) მკითხველი არ ჰყავდეს. აგერ ორ წელზე მეტია, რაც ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსეს აქ. პირველ წელს წევრებს შემოუტანიათ საწევრო ფულები (თუმც ყველას სრულად არა), შემდეგ კი საწევრო ფულის არა ისმისრა, თითქო ერთი წლის საწევრო ფულის შეტანით გაუთავებიათ ყველაფერი. ბიბლიოთეკას კარგათ შემოსვლია ფულები კერძო შემომწირველებისაგან, მარა ყველა ესენი დახარჯულა „რამე-რუმეებზე“ და დღეს დაღონებული, ყველასაგან დავიწყებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წამდგარა საიქიოს და ევედრება თავის დამფუძნებელთ საქართ'ს მყოფთ: იწამეთ ღმერთი, ტყვილა უბრალოთ ნუ გიგდივარ ამ ტალახში, შემახვიეთ სუდარაში და გამისტუმრეთ იმ ქვეყანასო! მისი მეთ ურები კი ცნობის მოყვარეობით უყურებენ შორიდან, თუ რას იზამსო. „ეჰ! რათ შევიწუხოთ თავი? ქებათა-ქება არა კაცმა არ მოგვიძღვნა, გვირგვინი არავინ დაგვადგა თავზე და სულელები ხომ არა ვართ, ტყვილათ ვიმტვრიოთ თავიო“ გაიძახიან ისინი. საკვირველია სწორეთ აქაური ზოგიერთი ინტელიგენტების საქმე: თუ ნაკლოვანებას შენიშნეთ და მიუთითეთ მასზე, ის მაშინ ბრაზ-მორეული თავს ანებებს საქმეს, და თუ რამე მოასერხა, ხელსაც კი შეუშლის მის წინსვლას. ეს ბრძოლის ველიდან გაქცევა და მერე განიდან ფარისევლური კბენა ვერ არის კარგი და ურჩევთ მიქელგაბრიელის ინტელიგენტებს, მიატოვონ ეს ნაკლოვანება; აგრეთვე ურჩევთ, რომ გაიხსენონ მათი გამოწყებული საქმე, თორემ მათ ამ საქმისადმი გულგრილობას ცუდი შედეგი მოყვება: სოფლის ხალხს ჯერ არა აქვს კარგათ შეგნებული ისეთი საზოგადო დაწესებულების მნიშვნელობა, როგორიც არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო; და როდესაც ამ დაწესებულებას მისი მეთაურები ასე გულ გრილათ მოეპყრობიან, ხალხი რაღას იტყვის?

დასასრულ ჩვენ ვთხოვთ ბ. იოსებ ჩხატარაშვილს, რომელსაც მგონი დღეს აბარია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ერთხელ კიდევ მოიწვიოს ამ საქმისთვის გულ-შემატკივარნი მოკვდავ კანიკულებზე. ცდა ბედის ნახევარიაო, ნათქვამია და შეიძლება, გამოჩნდეს ვინმე მადლიანი და იკისროს ამ საქმის გაძღოლა.

მიქელგაბრიელელი.

---

## რუსეთის ცხოვრება.

სახალხო განათლების სამინისტროში დღემდის რამდენიმე უამდგომლობა წარუდგენიათ, რომ რუსეთში პირველ-დაწყებითი სავალდებულო სწავლება იქნეს შემოღებული.

⊖⊖ სალიტერატურო ნაწარმოებთა საკუთრების შესახებ სახელმწიფო საბჭოში კანონ-პროექტი წარუდგენიათ, რომელიც სხვათა შორის, სალიტერატურო ნაწარმოებთა გადაკეთების საგანსაც შეიცავს.

⊖⊖ მომავალის წლის დამდეგს დაიწყებს მუშაობას ხაგანგებო კომისსია, რომელსაც ფაბრიკებსა და ქარხნებში მომუშავე მცირეწლოვან მუშათათვის სავალდებულო სწავლების განხილვა აქვს დავალებული. კომისსიაში მონაწილეობის მისაღებათ მიწვეული იქნებიან არა მარტო მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი, არამედ სამრეწველო და სატეხნიკო დაწესებულებათა და საზოგადოებათაგანაც.

⊖⊖ სრულიად რუსეთის ბეითალთა კრებას, სხვათა შორის, ფიქრათ აქვს, განიხილოს რა ნაირათ უნდა მოეწყოს საქმე,

რომ გლეხთა შორის ბეითლობის შესახებ ადვილათ შესაძლებელი ცოდნა გავრცელდეს.

---

## საზღვარ-გარეთ.

**ინგლისი.** ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის ლიბერალთა პარტიაში განხეთქილება ჩამოვარდა. ახლა ამ უთანხმოებას უფრო და უფრო ამწვავებს, ყოფილი მეთაური ლიბერალთა პარტიისა ლორდ როზბერი, რომელიც დღემდის გადამდგარი იყო პოლიტიკური ასპარეზიდან. დიდი ხანია მოელოდა საზოგადოება მის საპროგრამო სიტყვას და როგორც იყო თქვა კიდეც ჩესტერფილდში. გლადსტონის მემკვიდრემ, რომელიც დღეს ჩემბერლენს უწევს ხელს და საჯაროთ კომპლიმენტებს უგზავნის, უარყო ირლანდიის ჰომრული, უარყო აგრეთვე დიდებული მოხუცის ანდერძი და ლიბერალთა პროგრამაში იმპერიალიზმი შეიტანა. მართალია, ის უფრო ჰუმანიურ იმპერიალიზმს ქადაგებს, ვიდრე ჩემბერლენის მიმდევარი ჯინგოისტები, მაგრამ იმპერიალიზმი მაინც იმპერიალიზმია, და იმ პარტიას, რომლის უმრავლესობა, თუ პატარა ინგლისის მშვიდობიან განვითარებას არ ემხრობოდა, საზღვრების გაფართოების წინააღმდეგი მაინც იყო, აღარ შეჰფერის და არ შეუძლია როზბერისთან ერთობა. თავისი ახალი პროგრამით როზბერას სურს ახალი პარტიას შექმნა. მოსალოდნელია მას მიემხრონ, ლიბერალ-უნიონისტები, რომელნიც იმპერიის ერთობას იცავენ, მიემხრობა აგრეთვე ლიბერალთა პარტიიდან ასკვიტის ფრაქცია, რომელიც დაცილდა თავის პარტიას ტრანსვაალის კითხვაში და ამ ნაირათ შეიძლება მართლაც გაჩნდეს პარლამენტში ახალი ჯგუფი. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს პარტია დიდ ძალას ვერ შეადგენს და ვერ მოაწესრიგებს ინგლისის აწეწილ საქმეებს. შეიძლება რამე მნიშვნელობა ექნეს მას საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ პარტიის არსებობისათვის უფრო საჭიროა საკუთარი ფიზიონომია შინაურ კითხვებში, რასაც როზბერის პარტია მოკლებული იქნება. საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ როზბერის ქცევა ამყოლის აყოლას უფრო გავს ვიდრე სხვა რასმე. ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ თვით გლადსტონსაც არა ერთხელ გამოუცვლია აზრი ზოგიერთ კითხვებზე, მაგრამ ეს ცვლილება ყოველთვის წინისკენ და მარცხნისკენ იყო და არა უკან და ამაშია დიდებული მოხუცის და მისი უკანონო მემკვიდრის განსხვავება.

**საფრანგეთი.** 11 დეკემბერს დეპუტატებს დაურიგდათ კომისსიის მოხსენება, ქვა-მადნის ქარხნებში სამუშაო დროს განსაზღვრის შესახებ. კომისსია წინადადებას იძლევა თავის მოხსენებაში, რომ მომავალი წლის პირველ ივლისიდან ქვა-მადნის მაღაროებში სამუშაო დრო არ აღემატებოდეს დღეში ცხრა საათს. ორი წლის შემდეგ ეს დრო უნდა შემოკლდეს $8^1/_2$ საათამდე, ხოლო ორი წლის შემდეგ 8 საათამდე.

**გერმანია.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ის მშობლები, რომელნიც ჩაერიენ ვრეშენის სასწავლებელში მოწაფეების გაროზგვის საქმეში გერმანიის სასამართლომ დაასპატიმრათ. თუ რაოდენი თანაგრძნობა უნდა იყოს საზოგადოებაში აღძრული მათ შესახებ ეს სხვათა შორის იქიდანა სჩანს, რომ ამ მოკლე ხანში თვითეული მათგანის სასარგებლოთ შეკრიბეს 2,000 მანეთზე მეტი.

**ავსტრია.** ავსტრიის პარლამენტის კრიზისი, რომლითაც იგი მოცულია რამდენიმე წელიწადია, თანდათან მწვავდება. სახელმწიფოს ორ უმთავრეს ერთა შორის განხეთქილებამ სრული უმოქმედობა არგუნა პარლამენტს, გაჭირვებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაგდო სამინისტრო და ბოლოს იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ მთავრობა მზათ არის პარლამენტალური რეჟიმი აბსოლიუტურზე შესცვალოს. აი ეს ამცნო მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა პალატას: მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა პარლამენტი საქმეს შედგომოდა, მაგრამ ჩვენი ცდა უნაყოფო დარჩა. უკმაყოფილოა ამით ხალხიც. მის მოთმინებასაც საზღვარი აქვს და ვინ იცის იქნებ რადიკალური ექიმობაც მოითხოვოს მანო და განაგრძო: „რა იქნება ამ პირობებში მთავრობამ რომ გადაწყვიტოს, რომ იგი იძულებული გახდეს, სელი შეახოს თვით კონსტიტუციას? რა იქნება, რომ ეს იმ მთავრობამ ჩაიდინოს, რომელსაც შეგნებული აქვს თავის მოვალეობა და მოქმედებს თანახმათ ხალხის სურვილისა? ასეთი მთავრობა არ შეუშინდება ისტორიის მსჯავრს და შეიძლება ის ქვეყნის მხსნელათ იქნეს ცნობილიო". აი ამ სიტყვებით აცნობა კერბერმა პარლამენტს მთავრობის აზრი, ამით შეატყობინა, რომ იგი მზათ არის სასელმწიფო წესწყობილების ცვლილებაც მოახდინოს, რევოლიუცია მაღლიდან, და მოგეხსენებათ, რა იქნება მაღლიდან მომხდარი რევოლიუცია! რასაკვირველია, ასეთი ქცევა სახიფათო ნაბიჯის გადადგმა იქნება, მაგრამ თუ კი ასე ადვილი მოსახდენია ჯობს მოხდეს. მართლაც და რაისი ღირსია ის პარლამენტი, რომელიც თავის დაცვას ვერ შეძლებს? შემცდარია სამინისტრო თუ ფიქრობს, რომ ხალხი მას გაყვება. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გამოაშკარავდა, რომ პარლამენტი შეძლებს თავის დაცვას, მაგრამ თუ ვერ შეძლო და თუ მთავრობამ მართლა მოახდინა აღთქმული ცვლილება, მაშინ ახლო მომავალში ჩვენ ვიქნებით მეტათ საინტერესო მომენტის მოწამე და დარწმუნებული უნდა ვიყოთ უფრო სრულ და უფრო სამართლიან კონსტიტუციასაც დავინახავთ ავსტრიაში.

**სამხრეთ-აფრიკა**. გაზ. „Rappel"-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ ბოტას დატყვევებული ყავს 5 ინგლისელი ოფიცერი. ის უთვლის კიტჩენერს, რომ თუ ინგლისელებმა კრეიცინგერს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ეს ხუთი ტყვე ოფიცერიც დახვრეტილი იქნებაო.

**ჩინეთი**. გაქცეული დედოფალი ბრუნდება პეკინში. მისი სატახტო ქალაქისაკენ გამგზავრება საშინლება ყოფილა თურმე საწყალ ჩინელებისათვის. ის ქალაქი, ან სოფელი, რომელზედაც დედოფალი გავლა უხდებოდა თავისი ამალით, მტრისაგან აოხრებულ ადგილებს წარმოადგენენ თურმე, სასახლის მოხელეებისა და მათის მოსამსახურეების წყალობით. მათ მიაქვთ თან ყოველიფერი რაც კი მცხოვრებლებს გააჩნიათ, ეს ხდება აშკარათ ყველას თვალწინ, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვიათ ჩინელებს ამ მტაცებელ მთავრობასთან.

---

*
* *

როცა ჩემს გარე ტყე და მინდორი
ათასფრათ ჰყვავის, ლაღობს და ხარობს,
და ფრინველთ გუნდი თავისუფლათა
ჟივილ-ხივილით ცაში ნავარდობს,
მეც მიხარია!.. რაღაც იმედი
და მტკიცე რწმენა იღვიძებს გულში...
ვიღაც მამხნევებს და მანუგეშებს,
ანაზდეულათ ჩამძახის ყურში:
„ნუ შეგაშინებს ნურც სიღარიბე,
„ნურცა ცხოვრების უკუღმართობა,
„ნურც სატანჯველი, ნურც ქვეყანაზე
„დამყარებული უსამართლობა.
„გრწამდეს—მოვა დრო, როცა სიმართლე
„ამართავს მაღლა თავის დროშასა!..
„შენც მოითმინე, მხოლოთ გამხნევდი
„და მოუცადე დროსა და ჟამსა!"

კ. ჯაფარიძე.

---

# კარგი ხელფასი

(ივ. ფრანკოსი- —თარგმ. რუსულიდან).

მე, ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავართ. ქოხს გარდა ერთი აღლი მიწაც კი არ მაბადია. სამაგიეროთ მყავს ცოლი, ორი შვილი (ღმერთმა ჯვარი დასწეროთ) და ამათ ხომ უნდათ როგორმე ცხოვრება, ლუკმის ჭმევა! ერთი ჩემი ვაჟიშვილი თორმეტი წლისა გახლავთ, მეორე, ბატონო, თოთხმეტისა და ორივენი კი მწყემსათ უდგანან კეთილ ხალხს, რომელნიც კვებავენ და აცმევენ მათ ტანსაცმელს. რაც შეეხება ცოლს, ის კი ართავს და ართავს ძაფს, ეგები რამე გამოვრჩეო. მე?! ჰე, მე... მე რა?.. დავდივარ ტყეში, ვამტვრევ ხის შტოებს, ვაკეთებ ცოცხს და კვირაობით მე და ჩემ ცოლს მიგვაქვს ხოლმე ერთათ ბაზარში. თითო ცოცხს სამ კაპეიკათ ვყიდით, აქედან ტყის იჯარასაც ვაძლევთ ბატონს, ასე რომ მაგდენი არაფერი მოგება გვრჩება, მაგრამ რას... რას იზამ, ძმაო, როგორმე უნდა გამოვიკვებოთ თავი, როგორმე უნდა ვაწყვიტოთ სიცოცხლე, გავათრიოთ ჩვენი ცხოვრება...

ცხოვრება! ერთი ჯამი ლობიო, ცოტაოდენი მწვანილი, და თუ სადმე ყველის კვნიწიც ვიპოვეთ, ეს ხომ აღდგომაა და აღდგომა ჩვენთვის. ზაფხულში კიდევ არა გვიშავს-რა: ხან ყანაში იმუშავებ, ხან ვისიმე ბაღს უდარაჯებ, ხან მდინარეში თევზს დაიჭერ და ასე გამოგყავს შენი ტიალი თავი; მაგრამ ზამთარში კი ერთობ გასაჭირი ხდება ლუკმა-პურის შოვნა. თუ შეინარჩუნე კიდევ რამე ზაფხულიდან ძაან პატიოსანი, მაგრამ თუ ვერა იგდე-რა ხელთ, მაშინ კი გაიბერე გუდასავით და ეგდე მშიერი!

აი, ხომ ხედავთ, რაც არის ჩემი ცხოვრება, მაგრამ გამოჩნდა იმისთანა ადამიანი, რომელსაც ცსეც კი შეშურდა ჩემთვის. „გასუქდები ბერიკაცო, გაიბერები, არ ვარგა ჯანმრთელობისათვის მეტის-მეტი გაგანიერება, ქეიფის საღერღელი აგეშლებაო" და იცით, როგორი მზრუნველობა გამიწია ამ მოწყალე ბატონმა?

აი დამიგდეთ ყური.

მივდივარ ერთხელ, ბატონო, ქალაქის ქუჩებზე, მხარზე ცოცხებ გადაკიდებული და გავიძახი: აბა ცოცხები, იაფი ცოცხები! ველი ყოველ წუთს, ან ეხლა დამიძახებენ, როგორ ყიდი ცოცხებს, ან ეხლა. ხალხი აუარებელი ტრიალებდა გარს, ბაზრის დღე იყო და ყველა თოთქოლობდა. მივიხედე უკან და დავინახე, რომ ფეხ და ფეხ ამდევნებია ვიღაც ბატონი. ის კუზიანი იყო, ერთი შეხედვით მიკიოტსა გავდა, თვალები ბაყაყივით დაეჭყიტა და გაფაციცებით მადევნებდა თვალყურს. ვიფიქრე, ალბათ თუ ენდომება რამე და შევდექი, შენ არ მომიკვდე, ყურადღებაც არ მომაქცია. იმან სულ სხვა მხარეს დაიწყო ყურება, ვითომც-და აქ არაფერი ამბავიაო. დაგწყევლოს ეშმაკმა, ვფიქრობ ჩემთვის, და ამ დროს ვიღაცა ურიის ქალმა შემომკივლა შიგ ყურის ძირში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეი, როგორა ყიდი ცოცხს?

— ხუთათ,—ვუპასუხე მე.

— ხუთათ კი არა! აი სამი თუ გინდა დაიჭი.

— არ შეიძლება, ხუთია, ხუთი!

— სამი!

— ხუთი!

ასე ისე, როგორც იყო შევრიგდით სამნახევარ კაპეიკათ, მოვიხსენ გუდურა და უთვლი ურიის ქალს ცოცხებს. ამ დროს საიდამღაც წამომადგა თავს ის წინანდელი კუზიანი კაცი, რომელიც ფეხდაფეხ მდევდა მე.

— როგორ ყიდით ცოცხებს? შემომეკითხა ის.

— ხუთათ, ბატონო, ხუთათ! იყიდეთ ცოცხებია რომ... იმან აიღო ხელში ერთი ცოცხი.

— მართალია, მართალია, ცოცხები საუცხოვოა, თქმა არ უნდა! მაგრამ საიდანა ხართ თქვენ?

— სოფელ ჩუდოვოდან, მივუგე მე.

— საუცხოვოა, საუცხოვო! ხშირათა ყიდით ცოცხებს?

კიდევ შემომეკითხა ბატონი:

— არა, ხშირათ არა, ასე კვირაში ერთხელ ბაზრობაზე.

-- ეჰე, ყოველ პარასკევს. მერე რამდენსა ყიდით ხოლმე თითო ჯერზე?

— ასე, როგორც ბედი მოიტანს, ხან მე და ჩემი ცოლი სულ გავყიდით ხოლმე, რაც გამოტანილი გვაქს, ხან გვრჩება გაუყიდავი.

— ეჰე, მაშ შენა და შენი ცოლი... ორივეს ასეთი გუდურები გამოგაქვთ გასასყიდათ?

— ჰო, ასე, ხან ასეთები, ხან ცოტა მეტი, რავიცი, როგორც საქმე მოიტანს.

— ეჰე, მერე, მერე... რამდენ ცოცხს აკეთებთ კვირაში შენ და შენი მეუღლე?

— რა ვიცი, როგორც მოხდება. ზამთარში მეტს ვამზადებთ, რადგანაც მეტი იყიდება, ზაფხულში კი ნაკლებს, შემოდგომაზედაც არა უჭირსრა მაზანდას.

— მართალია, მართალია! მაგრამ იცი რა გითხრა? მე ხელმწიფის მაღაზიების მოიჯარადრე ვარ და ამიტომ ბევრი ცოცხი მჭირდება. მაგალითათ, თქვენ შეგიძლიათ დამიმზადოთ მე იმ კვირისთვის ასე ასიოდე ცოცხი?

ამ კითხვაზე მე ცოტა ჩავფიქრდი და შემდეგ ვუპასუხე:

— რატომ, შეიძლება, გვიბრძანეთ სად მოგართვათ.

— აგერ იქ,—მიპასუხა ბატონმა და გამიშვირა ხელი ერთი სახლისკენ.— მაგრამ გახსოვდეს კი უეჭველათ მომიტანე, უეჭველათ. მე მაშინვე გაგისწორდები. ჰო, რამდენი ღირს თითო ცოცხი?

— რადგანაც თქვენ ამდენს ერთათ ყიდულობთ, მე ცოტას დაუკლებ, თითოს ოთხ კაპეიკათ მოგართმევთ.

– არა, არა, საჭირო არ არის, ფას ნუ უკლებ, მე თითოში ხუთს მოგცემ, ხუთს!

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ბატონო!

— გაგიმარჯოს შენც, მაგრამ გახსოვდეს კი არ დაივიწყო, იმკვირია ასი ცოცხი მზათ იყოს, უეჭველათ მომიტანე.

ამ სიტყვებით გამშორდა ბატონი და მიეფარა საითღაც. ღმერთმა აცოცხლოს, ვამბობ ჩემ გუნებაში, რა კარგი ბატონი ყოფილა, ამოტელა ცოცხებს იკვეთავს და არც კი შემომევაჭრა, ეხუმრებით თითქმის ხუთი მანეთის ცოცხი იყიდა, ხუთი მანეთისა! ღმერთო, შეგცოდე მე კი რაღაც ცუდი აზრი მომივიდა, როდესაც ის ამედევნა უკან და თვალყურს მადევნებდა. ღმერთო მიეცი მას დღეგრძელობა, ერთხელ, ერთხელ მაინც მოვიგებ ცოტაოდენს!

ვფიქრობდი მე და თან ვეძებდი ჩემ ცოლს. რომ იმისთვისაც მეხარებინა ჩემი ვაჭრობის ავან-ჩავანი. როგორც იყო მოვკარი თვალი, ვუამბე ყველაფერი, გავიხარეთ ორივემ, ვიყიდეთ სპიჩკა, ნავთი, მარილი და კიდევ რაღაც წვრილმანი საოჯახო ნივთები და გამოვეშურენით სახლისკენ. გადაეიხდით ფოსტის ფულს, ვარაუდობდით ჩვენ, დაგვრჩება კიდევ ზამთრისთვის რამდენიმე გროში და გავახანჩალებთ წელიწადს.

— ორივემ უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი, მეუბნებოდა ჩემი ცოლი და თან მივეშურებოდით სახლისკენ, შენ მარტო ვერას გახდები, მუშაობა დიდია!

მეც დავთანხმდი ამაში და გამოვეშურეთ ორივენი სახლისაკენ, რომ არ დაგვეკარგნა სამუშაო დრო.

იმავე დღეს ვეცით ორივენი საქმეს. მოვზიდეთ ხის ტოტები და გავაჩაღეთ სახლში ცოცხების ქარხანა. მე კონა-კონა ვაწყობდი, ჩემი ბებერი ფოთლებს აცლიდა, მერე ვაჭრიდი სხვილ ღეროებს, ვკრავდი კანაფით და თუმცა ორივეს ხელის გულებზე ტყავი გვძვრებოდა, მაგრამ ცოცხები კი მაინც გამოგვყავნდა ერთი მეორეზე; მოვიდა კვირაც. შევკარით ორმოცდაათ-ათი ცოცხი, ორ რიგათ; გადავიგდეთ მხარზე კონები და გავუდექით გზას. სიცხისაგან ორივეს ჭირის ოფლი ჩამოგვდიოდა, სასა გაგვიშრა, მაგრამ რას იზამ? თუ გინდა ფული იშოვო, უნდა იმუშავო კიდეც!

შევედით ქალაქში და აქეთ-იქიდან დაგვიწყეს ყურება გაკვირვებულებმა. მართლაცა და ვის ენახა, რომ ამოდენა კონები ერთათ შემოეთრიოს ვისმე ქალაქში.

— ეი, ძმობილო, რა უყავ შენ ბედაურებს, რომ ამოტელა კონებს თვითონ მ.ათრევ! დაგვცინოდენ აქეთ-იქიდან.

— ვა, ვა, ვა! რამოტელა ტყე უყიდნია და! რას აიღებ მაგ ტყეში ძმობილო? გვესმოდა ყოველ მხრიდან.

ჩვენ მივდიოდით წინ, ვითომ არც კი გვესმოდა მათი დაცინვა. სიმძიმისაგან სულს ძლივს ვიბრუნებდით, თვალები კინაღამ ქუთუთოებიდან გადმოგვცვივდა, მაგრამ როგორც იყო მივაღწიეთ იმ სახლამდე, რომელიც ბატონმა მიჩვენა. დავყარეთ ძირს ცოცხები და დავეშვით ორივენი ზედ. ამოვისუნთქეთ, როგორც იყო, თავისუფლათ. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ ბატონმაც გამოყო თავი ფანჯარიდან.

— ჰოო, ეს თქვენა ხართ!

— ჩვენ გახლავართ, ბატონო, ჩვენის ცოცხებით.

— კარგი, ძალიან კარგი, აი ახლავ მე თვითონ გამოვალ.—დახურა ფანჯარა და, მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა ჩვენთან.

— ჰო, რაო, მოიტანეთ ცოცხები?

— კი, ბატონო, ასი, როგორც გვიბრძანეთ თქვენ.

— ეჰე, კარგია! კარგია! მაგრამ იცით რა, მე ეხლა მაგ ცოცხებს არ ავიღებ, დეე თქვენთან იყოს რამდენსამე ხანს, ან შეგიძლიათ გაყიდოთ კიდეც... როდესაც დამჭირდება მე თვითონ შეგატყობინებთ, ეხლა კი აი ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაღალდი წაიღეთ და მიეცით ბოქაულს, ის თვითონ გასწავლით რა უნდა უყოთ მაგ ცოცხეპს.

— ეე... ეს როგორ იქნება, თქვენ თვითონ შემოგვიკვეთეთ და ახლა აღარ იღებთ?—ვუპასუხე მე.

— რა უშავს, არა უშავს-რა, წაიღეთ როგორც გეუბნებით, მე თქვენ არ დაგივიწყებთ, მოგიკითხავეთ თავის დროზე. წაიღეთ აი ეს ქაღალდიც.

— რათ მინდა მე ეგ ქაღალდი, რაში უნდა გამომადგეს?

— წაიღე, ძამია, წაიღე, მიპასუხა კიდევ ბატონმა, მაგრამ თუ არა გსურთ მაინცა და მაინც არ აგიხირდებით, როგორც გენებოთ, მშვიდობით!

ის იყო, მე მინდოდა მომეხსნა ტომარასთვის პირი, მაგრამ ბატონი გატრიალდა უცებ და შევიდა სახლში. მე და ჩემმა ცოლმა ვიტრიალეთ ერთხანს კარებთან, მერე მეტი გზა აღარ იყო ავიღეთ ჩვენი ტვირთი და გავეშურეთ ბაზრისაკენ დაღონებულები, რომ იქ მაინც, როგორც იქნებოდა, გაგვესაღებინა საქონელი.

გავიდა ერთი კვირა მას შემდეგ და დამიძახა ბოქაულმა. რა საქმე აქვს ჩემთან? ვფიქრობ მე. მიველი ბოქაულთან, რომელიც სიცილით დამიხვდა.

— ბაბუა პანკო (მე ბაბუას მეძახოდენ, თუმცა არც ისე მოხუცებული ვიყავ), მე შენ ერთი ახალი რამ უნდა შეგატყობინო,—მითხრა ბოქაულმა მისვლისთანავე.

— რა ახალი რამ? შევეკითხე გაკვირვებული.

— აი რა, უყურე ამას! მითხრა მან და გადამიშალა ცხვირწინ სწორეთ ის ქაღალდი, რომელიც ერთი კვირის წინეთ გამატანა მასთან ცოცხების მოვაჭრე ბატონმა. ბოქაულმა გადაიკითხა ქაღალდი, რომლიდანაც მე, გარდა ჩემი სახელისა და გვარისა, სრულებით ვერა გავიგე-რა.

— რა წერია ამ ქაღალდში? შევეკითხე ბოქაულს.

— აქ ბაბუა წერია ის, რომ შენ საშინლათ მდიდარი კაცი ხარ, რომ ყოველ დღე შენ ასაღებ ას ცოცხს და ხვეტავ ფულებს ბზესავით, ამიტომ აი ეს წურბელა უნდა მოგკიდოთ შენ.

— რომელი წურბელა. რას ამბობთ?

— აი ეს ქაღალდი, ჩემო ბაბუა!

— რათა, რისთვის, რა ქაღალდია?

— ეჰ, ბაბუა, მაგრე თავსაც ნუ იყრუებ-და! ვითომ არც კი იცი რა არის ეს. შენ უნდა აძლიო დღეიდან სახელმწიფო გადასახადი ცოცხების ვაჭრობაში წლიურათ ხუთი მანათი.

— ხუთი მანეთი წელიწადში?! ღმერთო ჩემო, რისთვის, რათა?!

— ცოცხებით ვაჭრობისათვის, გესმის? სახელმწიფო ხარჯთაღმრიცხველმა ინსპექტორმა შეგიტანა შენ სიაში და ამბობს, რომ შენ დღეში ყიდი ას ცოცხს.

მე ერთ ადგილას გავშეშდი, აი როგორც სიმონ დაყუდებული, რომელზედაც მოგვითხრობენ, რომ ოცდაათი წელიწადი გაუნძრევლათ ერთ ადგილს იყო გაჩერებულიო.

— ბატონო ბოქაულო, არ მოგცემთ მაგ ხარჯს—ვუპასუხე მე.

— მოვალე ხარ!

— სრულებითაც არა! ან რას წამართმევთ. თქვენ კარგათ იცით, რომ დღეში კი არა წელიწადშიაც ძლივს ვყიდი ხუთი მანათის ცოცხს. ტიტველ კაცს რას გახდით.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მიპასუხა ბოქაულმა, ინსპექტორმა ჩემზე უკეთ იცის: თუ გინდ მოგვეცი თუ გინდა არა. მე «ზეკუციას» ჩაგიყენებ.

— თქვენი ნებაა, გამოგზავნეთ თქვენი „ზეკუცია“ სულს უფრო ადრე დალევს, ვიდრე ჩემგან მიიღებს რასმე.

— მაშ კარგი! გაგიყიდი სახლს და ბოსტანს, თქვენ კი გაგიშვებთ შიშველ-ტიტველს ოთხსავ კუთხივ. ხენწიფისა არა დაიკარგებარა!

მე ელდა ნაცემივით გავშეშდი.

— ხომ ხედავ, გამიმეორა კიდევ ბოქაულმა, თანახმა ხარ თუ არა მოგვცე ხარჯი?

— კარგი მოგცემთ, ვუპასუხე მე, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მაინც არ შეიცვალა.

გავიდა მას შემდეგ სამი წელიწადი. რამდენჯერმე მეწვია ბოქაული, „ზეკუციაც“, მაგრამ მე და ჩემი ცოლი ვკეტავდით კარებს და ბოსტანში ვიმალებოდით. კარების გატეხაც კი მოიწადინეს, მაგრამ კეთილმა ხალხმა არ მიცა ამის ნება. ამ დროს განმავლობაში ჩემი ცოცხების ხარჯი თავის „ნედოიმკებით“ ორ თუმნამდე ავიდა. მე აღარ ვიმალებოდი, რადგანაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა. ქალაქიდან ბრძანება მოვიდა ან ფული წარედგინათ ან არა და გაეყიდნათ საჯაროთ ჩემი ავლა დიდება. ასეც მოიქცენ. შეყარეს ხალხი, დააფასეს ჩემი ქოხმახი. ვალი ორი თუმანი იყო, მაგრამ ამდენს არავინ იძლეოდა. დააფასეს ათი მანეთი. დაიძახეს: ვინ მისცემდა მეტს; თორმეტი.—თოთხმეტი... და ბოლოს, როგორც იყო, გასაღდა ჩემი სიმდიდრე თხუთმეტათ: მე კი სწორე მოგახსენოთ ძაან მეცინებოდა ამ დროს.

— ხომ ხედავთ ბატონო, ვუთხარი მე ბოქაულს, განა ტყვილათ გითხარით, რომ ტიტველ კაცს არაფერი აქვს გასაცარცვავი მეთქი!

— ეშმაკმა წაგიღოს, ბაბუა, ეშმაკმა, ჩვენი ასე მოტყუილებისთვის! მიპასუხა მან.

ჩემი ქოხი ურია იონამ იყიდა ხბორების სადგომათ, მე კი ახლა სხვათა სახლში ვცხოვრობ ქირით. ვცხოვრობთ, წინანდებურათ, როგორც ღმერთი ხელს გვიმართავს. ცოლი ართავს ძაფს, ბიჭები ნახირს უვლიან, მე კი ისევ ცოცხებს ვაკეთებ, მაგრამ ხარჯს კი აღარ მამაწერავენ.

იელი.

---

## კანვასსოგა *) ბათომის საბჭოში.

(17-ის კრების გამო).

ეს მესამეჯერ გაარჩია ბათომის ქალაქის საბჭომ საქალებო გიმნაზიისთვის ადგილის კითხვა და სამივეჯერ მისი ძველ ადგილზე აშენება გადაწყვიტა.

როგორც ვიცით, საბჭომ ამ ერთი წლის წინეთ გადაწყვიტა 16-ით 8-ის წინააღმდეგ, რომ საქალებო გიმნაზია აშენებული იქნას გურიის პატარა ქუჩის მახლობლათ (Гурійской переулокъ) ქალაქის ადგილზე, მაგრამ ისეთი დაუდევარი შეიქნა ეს კითხვა, რომ 10 ამ დეკემბერს კიდევ წამოიჭიმა ქალაქის საბჭოს თვალწინ და გადაწყვიტეთ ჩემი ბედიო, ეუბნებოდა. საბჭომაც აუსრულა მას წადილი და 17-ით 7-ის წინააღმდეგ გადუწყვიტა: შენ შენ ალაგას იყავიო. მაგრამ გამოიჭრა საკანვასსო

*) კანვასსობა ნიშნავს ცდას და მოქმედებას, რომ რომელიმე საკითხის შესახებ კენჭის ყრა მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა და კარგი მექებარივით ეს კითხვა შეატრიალა და ისევე ბბ. ხმოსნებს მოართვა: გინდათ თუ არა თქვენი კენჭის მეოხებით ბედი მირჩიეთო. დიახაც ურჩიეს და 20-ით 7-ის წინააღმდეგ ძველ ადგილზე მისი გაბედნიერება ისურვეს.

საქმე 17 ხმოსნის განცხადებამ შამოატრიალა, რომლებიც გვპირდებოდენ ახალ-ახალ საბუთებს წარმოვადგენთ, თუ ქალთა გიმნაზიის საქმეს ისევე გადავათვალიერებთო. უყარეს კენჭი ამ საკითხს და 14-ით 13-ის წინააღმდეგ გადათვალიერება გადაწყდა. შემდეგ წაიკითხეს განცხადება, სადაც არც ახალი საბუთები და არც ახალი მოსაზრებები იყო, რომ გიმნაზია ალექსანდროვის ბაღის ერთ კუთხეზე აშენებულიყო. მხოლოთ ამ კითხვაში ოპოზიცია, რომელიც შედგება ბბ. ნაკაშიძე, ელიავა, პალმი, საბაშვილი და სხვებისაგან, რაღაც უჩინ-მაჩინი საბუთების წყალობით ამბობენ, რომ საჭიროა გიმნაზია ბაღში აშენდესო. იმათი აზრით, ხსენებული ბაღიდან 500 კვ. საჟენი მიწის ჩამოჭრა მას არ წაახდენს, წინააღმდეგ ის კიდევაც გაშვენიერდება და გიმნაზიაც კარგ ადგილზე გვექნება. ამ ადგილზე მიწის და ქვიშის დაყრა საჭირო არ არის, რომელიც ძველ ადგილას სჭირია. ძველი ადგილის მოსაქვიშავათ 6000 მანეთამდე და ამდენივე სხვისი ადგილის შესაყიდლათ წავა. უსხვისადგილოთ კი პატარაა ადგილი გიმნაზიისთვისო (აქ ადგილი 500 კვ. საჟენია ქალაქის საკუთრება). ამას დაუმატეთ ისიც, რომ ალექსანდროვის ბაღში გიმნაზიის მოწაფეებს კარგი ჰაერი ექნებათ. «Надо имъ дать воздухъ»-ო, თქვა ერთმა ხმოსანთაგანმა. ამნაირი საბუთები წამოაყენა ამ კითხვის ოპოზიციამ, რომელსაც შეეჯახა მცხოვრებლებისაგან ხელმოწერილი განცხადება, რომ ხელუხლებლათ დატოვეთ ძველი გადაწყვეტილებები, თორემ ჩვენ იძულებული ვიქნებით გუბერნატორს მივმართოთო. ამით მოწყდა წელი შვენიერ მეკანვასსეებს, რომელთაც ქვევით დავინახავთ.

მეკანვასსეებისაგან შემოტრიალებულ საქმეს წინ შეეჩეხა, ასე ვთქვათ, ამ კითხვაში ფეხ-დადგმული პარტია და უსაბუთო მაძიებელთ ზურგზე ბოლი აადინა. ხმოსნები: ჩხეიძე, ჯაყელი, საბახტარაშვილი, ანჯაფარიძე და სხვები ათანხმებენ გიმნაზიის და ხალხის საჭიროებას, ბაღის და საგიმნაზიო ადგილის მნიშვნელობას და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ძველ ადგილზე აშენება ჯობს და ჯერ საჭირო არ არის ძვირათ ღირებული ბაღის დაჭრაო. გიმნაზიისათვის შესაფერი ადგილი რომ არ გვქონდეს, მაშინ ჰო, ვიტყვით სასწავლებელი ბაღში აშენდესო და სხვა... ამას გარდა, ბ. ანჯაფარიძე ამბობს, რა უფლება გვაქვს ჩვენ, ხმოსნებს, ყურადღება არ მივაქციოთ 220-240 კაცის თხოვნას, რომლების სურვილის წინააღმდეგ წასვლა ჩვენ არც კი შეგვიძლია?! 240 კაცის სახელი იმ სურვილს ამტკიცებს, რომელსაც ჩვენ უნდა ვასრულებდეთო (მაყურებლებიდან ისმის პატარა ტაშისცემა). ბ. საბახტარაშვილი ამბობს: პროცენტიული შედარებით, როგორც ორ-სამ სართულიანი სახლების პატრონები იხდიან საქალაქო გადასახადს, ისე იხდიან ერთ-სართულიანი და ქოხების პატრონებიც და რა უფლება გვაქვს, რომ ყოველ მხარეზე არ გავანაწილოთ ასეთი დაწესებულებები და სხვ. (ტაშისცემა). ბ. ჯაყელი ამბობს: ამბობენ, კითხვა აჩქარებით გადაწყდაო, მაგრამ სირცხვილი არ არის ამის თქმა იმ კითხვის შესახებ, რომელიც ერთი წლის წინათ გაირჩა და საბჭოში გადაწყდა და მეორეჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინათ?! ეს საარჩევნო სისტემის აბუჩათ აგდებაა, რომ ამ კითხვას მესამეჯერ ვუბრუნდებით (ისმის „ბრავო-ბრავოს“ ძახილი და ტაშისცემა). ბ. ჩხეიძე ამბობს, რომ ბევრმა უკვე დაივიწყა ან მოხერხებით ივიწყებს ქალაქის მცხოვრებლების ინტერესს, არც პატივს ცემს საზოგადო ინტერესს და მოთხოვნილებას—ისინი... (ამ დროს ხმოსნებში ჩოჩქოლი შეიქნა და უსიამოვნოთ გაშმაშურება. მაყურებლებიდან კი ტაშისცემა. ისმის თავმჯდომარის ზარის რაწკუნი და ხმა, რომ მაგაზე ლაპარაკის ნებას არ მოგცემთო და სხვა).

ოპოზიციიდან ილაპარაკა ხმ. ნაკაშიძემ, ელიავამ და სხვ. ნაკაშიძეს და ელიავას არაფერი ახალი საბუთები არ წარმოუდგენიათ და გაიმეორეს უკვე ნათქვამი მოსაზრებანი. თავ. ნაკაშიძეს, რისთვის არ ვიცი, დასჭირდა კი „воздухъ“-ის ხსენება, რომელმაც ხარხარი გამოიწვია, ხარხარმა კი ორატორს გზა-კვალი დაუბნია და უკმაყოფილოთ სკამზე დაეშვა. ბ. ელიავას ნათქვამი რაოდენობით ბევრი იყო, მხოლოთ სიკეთით ძალიან პაწაწინა. უკეთ რომ ვთქვათ, მათ-მიერ ბევრჯერ ნათქვამის თქმა და თქმა იყო, ამისთვის ამანაც ვერ დააფიქრა მსმენელები. ამნაირათ ოპოზიციის ორატორები თავის სისუსტეში დარწმუნებულნი სიტყვებს ხაზს ვერ უსვამდენ და რადგანაც დარბაზშიაც მათი სასარგებლო სული და გული არ ტრიალობდა, ამისთვის საკუთარი და მსმენელთა შთაბეჭდილებისაგან დაკოდილნი ფრთებ დაჭრილ ჩიტსავით ძირს ეშვებოდენ. ასეთია ბოლო უსაბუთო კანვასსობისა.

16 ხმოსნის განცხადებამ, რომ ახალი მოტივები გვაქვს და საქმე გადავათვალიეროთო, შექმნა ეს ახირებული კანვასსობა. განცხადებას ხელს აწერენ: ბბ. ტარუმოვი, ხუდადოვი, გოგიჯანოვი, ქუთათელაძე, საბაშვილი, პარანბეგოვი, პალმი, საბაევი, მიხაილიდი, სიმონოვი, სიმონიდი, პეშეკეროვი, დიმიტრიადი, ელიავა, ქიქოძე და ნაკაშიძე. ახლა კითხვა იმაშია, დაესწრენ თუ არა ეს ბატონები პირველ ორ ბჭობას? თუ დაესწრენ და შეგნებულათაც მისცეს თავისი ხმა, ახლა კიდევ გადათვალიერება რაღა არის?! ან როცა თავის ხმას აძლევენ, მოქმედებენ შეგნებულათ თუ არა? იციან რას შვრებიან თუ არა? ვერც ერთ ამ კითხვაზე ხეირიან პასუხს ვერ მიიღებთ, რაც იმით მტკიცდება, რომ პირველათ 8 ხმა იყო წინააღმდეგი, მეორეჯერ 7 და მესამეჯერ კიდევ 7, გადათვალიერების მომხრე კი 14 ხმოსანი აღმოჩნდა; ამისთვის 14-16 ხმოსანთაგანი, ვინც კი პირველ კრებებს დაესწრო, თავის ხმა მიცა და ახლა ისევე გადათვალიერებას თხოულობს; ამისთანაზე გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის შეგნებული და თავისი მოქმედება თვითონვე საეჭვოთ მიაჩნია. ამგვარი ხმოსანი კი ვერ დაიცავს თავისი წრის ინტერესს.

აი, ხომ ხედავთ, როგორ იაფათ ეკიდებიან საქმეს? ხომ ხედავთ, რომ შინაურულათ, უსაბუთოთ სურთ ორჯერ გადაწყვეტილი კითხვის დარღვევა, რომლის თავი და ბოლო თვითონაც არ იციან. ამნაირი მოქმედება ცხადათ ასურათებს კოლეგიურ გადაწყვეტილების მიმართ უპატივცემულობას, რომელიც მარტო პატივსაცემი კი არა სავალდებულოც არის. მაგრამ ჩვენ ამგვარს ვერაფერს ვხედავთ აქ, მაშასადამე, ისინი შეუგნებლათ მოქმე-

დებენ ქალაქის საქმეებში, რაც მეტათ სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდებს ქალაქის ისედაც უსულგულო თვითმართველობას. ახალი არჩევნების მომხრეები რომ უფრო მეტი ცოდნით და საბუთებით აღჭურვილი წარმომდგარიყვენ, მაშინ შეიძლება გვეთქვა, რომ პირველი არჩევნები შემცდარია-თქვა, მაგრამ რა უნდა თქვას კაცმა ისეთ ბელადებზე, რომლებიც თავის უცოდინარობით აგვირგვინებენ თავის მოქმედებას. და რა გასაკვირველია, რომ მაყურებელთა შორის ხარხარი გამოიწვიონ, რის ღირსიც არიან. ხარხარიც ნათლათ გვიხატავს, რომ მხოლოთ შვენიერ ლოღიკას და საქმის ცოდნას შეუძლია ხალხის ყურადღების მიპყრობა, და არა შვენიერი მეკანვასეების ფუჭ თავმოყვარეობას, რომელსაც ფეხი აუდგა საზოგადო შეგნებამ.

ი. კაკაბაძე.

ქ. ბათომი, 18 დეკემბერი.

---

## კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების წესდების პროექტი.

### I საზოგადოების მიზანი.

§ 1. კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება არსდება იმ მიზნით, რომ დახმარება აღმოუჩინოს თავის გაჭირვებულ წევრებს და მათ დაობლებულ ოჯახობას.

§ 2. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლათ საზოგადოება თავის კასსიდან იძლევა პენსიებს, ერთდროულ და მუდმივ დახმარებას, აგრეთვე დახმარებას სესხის სახით.

§ 3. საზოგადოება იწყებს მოქმედებას ამ წესდების დამტკიცების შემდეგ როდესაც წევრთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ ოცისა.

### II. საზოგადოების წევრები.

§ 4. საზოგადოებას შეადგენენ: ნამდვილი, დამხმარე და საპატიო წევრნი.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყონ, როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, ამასთან რიცხვი განუსაზღვრელია.

§ 5. საზოგადოების წევრებათ მიიღებიან კავკასიაში მცხოვრები ყველა ლიტერატორები და ბეჭდვითი საქმის დანარჩენი მუშაკნი.

§ 6. საზოგადოების წევრათ ყოფნის მსურველმა წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს გამგეობას და იქვე უნდა აღნიშნოს თავისი მოღვაწეობა, წლოვანება, საწევრო გადასახადის რაოდენობა, მისი შემოტანის წესრიგი და ადრესი.

§ 7. იმ პირთ, რომლებიც არ ეკუთვნიან აღნიშნულ პროფესიებს (§ 5), შეუძლიათ იყონ საზოგადოების დამხმარე წევრებათ; მატერიალური მხრით ისინი არ სარგებლობენ საზოგადოების კასსით.

§ 8. საპატიო წევრებათ ამოირჩევიან, როგორც მამაკაცებიდან, ისე დედაკაცებიდან ის პირნი, რომლებსაც საზოგადოებისადმი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით.

§ 9. საზოგადოების წევრნი იყოფიან რამდენიმე რიგათ, იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი შემოაქვს თვიურათ.

ის პირნი, რომლებსაც ერთბაშათ შემოუტანიათ არა ნაკლებ 500 მან., საწევრო ფულისაგან სულ თავისუფლდებიან.

§ 10. წევრთა გადასვლა ერთი რიგიდან მეორეში მიღებულია მხოლოთ ყოველი წლის პირველ იანვარში, ხოლო ამის შესახებ უნდა წარუდგინოს გამგეობას წერილობითი განცხადება წინდაწინვე არა უგვიანეს დეკემბრისა.

§ 11. საზოგადოების წევრებათ აღარ ჩაითვლებიან ის პირნი, რომლებიც არ შემოიტანებენ ხვედრ გადასახადს სამი თვის განმავლობაში, და აგრეთვე ისინი, რომლებიც წევრობაზე უარს განაცხადებენ.

§ 12. საზოგადოების წევრობიდან გამოსულნი ჰკარგავენ ყოველ გვარ უფლებას საზოგადოების კასსის მხრით დახმარებისას და აგრეთვე მათ აღარ დაუბრუნდებათ შემოტანილი ხვედრი გადასახადი. ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგ მოქცევა შეუძლია საზოგადო კრებას.

§ 13. საზოგადოების წევრთ, რომელნიც ასრულებენ თავის ყველა ვალდებულებას, უფლება აქვთ უკანვე დაიბრუნონ შემოტანილი ხვედრი ფული იმ შემთხვევაში, თუ კი შრომის საშუალებას სრულებით დაკარგავენ.

შენიშვნა. დასაბრუნებელ თანხას შეადგენს შეტანილი ხვედრის გადასახადი პროცენტების მიუმატებლათ და 10% საზოგადოების სასარგებლოთ გამოკლებით.

§ 14. საზოგადოების წევრის სიკვდილის შემდეგ მისი ხვედრი ფული (§ 13) უბრუნდება მის ოჯახობას (ქვრივს და შვილებს) თუ დასახელებული არ არის სხვა პირი გარდაცვალებული წევრის განცხადებაში გამგეობის მიმართ. ამგვარი განცხადების მიღებაში მას ეძლევა ხელწერილი იმ პირის აღნიშვნით, რომელსაც ფული უნდა მიეცეს.

§ 15. ის წევრნი, რომლებიც 25 წლიწადი დაჰყოფენ საზოგადოებაში, განთავისუფლდებიან საწევრო ფულისაგან და უფლება ეძლევათ პენსიის მიღებისა, შემოტანილი საწევრო გადასახადის კვალობაზე.

§ 16. თვიური შემოსატანის ვადის გადადება შეიძლება გამგეობის ნებართვით არა უმეტეს ორი თვისა, 6% ზედ დამატებით.

§ 17. კავკასიის გარეთ, იმპერიის სხვა ადგილებში, თუ საზღვარ-გარეთ გადასახლებულ წევრთ შეუძლიათ საზოგადოების წევრებათ დარჩენ.

§ 18. ვისაც საზოგადოების კასსით უნდა ისარგებლოს, მას თვით, ან მის მაგიერ სხვა წევრს შეაქვს წერილობითი განცხადება ამის შესახებ საზოგადოების გამგეობაში.

### III საზოგადოების საშუალებანი.

§ 19. საზოგადოების საშუალებანი განაწილებულია: ა) ძირის და ბ) საბრუნავ (სათადარიგო) თანხათ.

§ 20. ძირის თანხა შედგება: საწევრო ფულების 10%-დან, განსაკუთრებულ შემოწირულებათაგან და საზოგადო კრების მიერ ყოველ წლივ ამ მიზნით გადადებული ფულებიდან.

§ 21. ყველა სხვა შემოსავალი, როგორც თანხისა და გასესხებული ფულის სარგებელი შეადგენენ საზოგადოების სათადარიგო თანხას, რომელიც იხმარება საზოგადოების ყოველგვარი ხარჯების დასაფარავათ, რომელნიც ამ წესდებაში არიან მოხსენებული.

§ 22. საზოგადოების საშუალებათა წყაროებს წარმოადგენენ: საწევრო ფული, შემოწირულება, ლატარიები, ხელის მოწერით შემოსული ფული, შემოსავალი წარმოდგენებისა, კონცერტებისა, ლექციებისა და სხვა სამეცნიერო და სახელოვნო შეკრებილებათაგან.

(დასასრული იქნება)

## ფრიდრიხ ნიცშე

(დასასრული მე III წერილისა. იხ. № 51).

ჩვენ დავინახეთ ზევით, რომ ნიცშე ძლიერ ცუდი აზრისაა თანამედროვე ადამიანზე—იგი მას უწოდებს «მაიმუნს», „მონას“, „კაცუნიას“, „სულელს“, „რეგვენს“ და ბევრ სხვა ასეთ ეპიტეტებს. „ჭეშმარიტათ—ამბობს ნიცშე—ადამიანი ტალახიანი ნაკადულია. უნდა იყო ზღვა, რომ შეუერთდე ტალახიან ნაკადულს და თვით არ დაემზგავსო მას“. ნიცშე აკვირდება თანამედროვე ადამიანს და კარგავს ყოველ იმედს, რომ ოდესმე იგი ამაღლდეს განვითარების იმ წერტილამდე, რომელიც მას დაუსახავს ნამდვილ ადამიანის დანიშნულებათ. ნიცშეს გადაუწყვეტია, რომ თანამედროვე კაცობრიობა გადაგვარების გზას ადგია და მას ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებს ამ გზიდან. ნიცშეს აზრით, სრულიად შეუძლებელია, რომ თვითეულმა თანამედროვე ადამიანმა დააღწიოს თავი სრულ გათახსირებას; მეტსაც ვიტყვით, ნიცშე ფიქრობს, რომ თანამედროვე ერთა შორის არ მოინახება ერთი პირიც, რომელიც ღირსი იყოს ნამდვილი ადამიანის სახელი ატაროს. ამის მიხედვით, თუ კი ნიცშე წინეთ კაცობრიობის უწმინდეს მიზნათ სახავდა ყველა ინდივიდთა უმწვერვალეს განვითარებას, ახლა კი კაცობრიობის ასეთივე მიზნათ უნდა იქნეს აღიარებული 5-6 ზეკაცის წარმოშობა. თუ წინეთ ადამიანი იყო «თვით მიზანი», ახლა იგი ხდება საშუალებათ, რომლის შემწეობით უნდა მოევლინოს ქვეყანას ორიოდე ბუმბერაზი. ნიცშე ამბობს: „ადამიანი არის ხიდი და არა თვით-მიზანი“.

ნიცშეს ზე-კაცი გამსჭვალულ-ია შეუპოვარი „ნებით“, რომელიც უმთავრესათ „ბატონობის წყურვილში“ გამოიხატება, «სიცოცხლის სურვილი კი არ არის ქვეყნის დასაბამი, ამბობს ნიცშე, არამედ ბატონობის სურვილი». ზე-კაცის დამახასიათებელი ნიშნები არიან: „ძლიერება“, «სისასტიკე», გონების „სიღრმე“ და „სიშვენიერე“. ზე-კაცთა კრებული, ნიცშეს აზრით, შეადგენს უმაღლესს არისტოკრატიას, რომელსაც უნდა ემორჩილებოდენ „ისინი, ვინც ბევრნი არიან“, ე. ი. ხალხი. ნიცშე ამბობს: «არისტოკრატიამ არასოდეს არ უნდა გაუთანასწოროს თავისი მოვალეობა თვითეულ ადამიანის მოვალეობას; მაგრამ მან არც არავის არ უნდა მოახვიოს თავზე თავისი მოვალეობა». კაცობრიობამ უნდა განვლოს, ნიცშეს აზრით, მრავლისაგან მრავალი ტანჯვა-ვაება და ეს იმიტომ, რომ ბოლოს მან წარმოშობოს მაღალი ტიპის ადამიანი, ეგრეთ წოდებული ზე-კაცი. «თქვენ გინდათ—მოგვმართავს ნიცშე—რამდენათაც შეიძლება მოსპოთ ტანჯვა; ჩვენ კი გვინდა, რომ იგი უფრო გაფართოვდეს და გაძლიერდეს. ოდესმე რომ დაიბადონ ზე-კაცნი, ჩვენ არ უნდა დავზოგოთ არაფერი, თვით კაცობრიობა უნდა იქნას მიტანილი ამ მაღალ მიზნის ზვარაკათ. ნიცშე გვეუბნება: „ჯანმრთელი არისტოკრატიის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ღებულობდეს სინიდისის შეუწუხებლათ უთვალავ ადამიანთა მსხვერპლს; ეს ადამიანთა გროვა არისტოკრატიის გულისათვის უნდა იყოს განუვითარებელი და დამდაბლდეს მონის და იარაღის ხარისხამდე. არისტოკრატიის სარწმუნოებათ უნდა იქნას აღიარებული ის, რომ საზოგადოება არსებობს არა საზოგადოებისათვის, არამედ იმიტომ, რომ იგი მსახურებდეს საძირკვლათ და კიბეთ, რომელთა შემწეობით რჩეულნი უნდა ამაღლდენ და მიაღწიონ თავის უმწვერვალეს დანიშნულებას და საზოგადოთ თავის უმწვერვალეს არსებობას. ნიცშე სრულიად დაიმედებულია, რომ ზე-კაცთა ასეთი „ბედნიერი ეგზემპლიარები შესაძლებელი იყო წარმომდგარიყვენ ადამიანთა ტომისაგან და მომავალშიაც შესაძლებელია“. ნიცშე მეტსაც გვპირდება: „ხანდისხან ასეთი ბედი შეიძლება ეწვიოს თითქმის მთელ შთამომავლობათ, ტომთ და ერებს“.

ნიცშე ჩვეულებრივის სკეპტიციზმით შეცქერის თანამედროვე სახელმწიფოთა წყობილებას; მისი აზრით, „პარლამენტარიზმი“ წარმოადგენს თანამედროვე ადამიანთა სირეგვენის ნაყოფს. მხოლოთ როდესაც ნიცშე ეხება სოციალისტთა იდეებს, მისი რისხვა აჭარბებს ყოველივე მოლოდინს. ნიცშე ამბობს: „რაც რეგვენ სოციალისტებს და თავ-ცარიელა ადამიანებს მიაჩნიათ «მომავალ კაცობრიობათ», თავის იდეალათ, არის გადაგვარება, ადამიანთა დამდაბლება ჯოგური ცხოველის ხარისხამდე“. ნიცშეს რისხვა უმთავრესათ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სოციალისტები ქადაგებენ ადამიანთა თანასწორობას. ნიცშე მტერია ყოველგვარი თანასწორობის და ეს იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მის მიერ დასახული ნამდვილი ცხოვრება. ნიცშე დარწმუნებულია, რომ ადამიანნი ბუნებით ღრმათ განირჩევიან ერთი-მეორისაგან, აქედან მათი მოთხოვნილება, დანიშნულება და მიზანი სულ სხვა-და-სხვა უნდა იყოს; ადამიანთა გათანასწორება მოასწავებს კაცობრიობის სიკვდილს, „ძმანო ჩემნო, ამბობს ნიცშე—უპირატესი უნდა ბატონობდეს, უპირატესი თვითონ მიისწრაფის ბატონობისკენ! და სადაც სწავლა წინაამდეგს ამბობს, იქ უპირატესობაც არ არის“. ნიცშეს აზრით, „უფლება პრივილეგია არის“ და სადაც პრივილეგია არ არის, იქ არც უფლებასა აქვს ადგილი.

ნიცშეს მთელი თავისი არსებით უყვარს ცხოვრება, რომლის შინაარსს შეადგენს ბრძოლა. იგი ამბობს: „დე უფრო და უფრო იზრდებოდეს მტრობა და უთანასწორობა ადამიანთა შორის: ასე მაიძულებს მე ვილაპარაკო ჩემი დიადი სიყვარული“.

ნიცშე საშინელის მრისხანებით იხსენიებს ინგლისელებს, რომელთაც მისი აზრით, პირველათ შექმნეს თანასწორობის იდეები და სხვა ამგვარი „ზღაპრები“. ხოლო თუ თანასწორობის იდეები ასე ვრცლათ არიან გავრცელებულნი ევროპის კონტინენტზე, ამაში, ნიცშეს აზრით, მიუძლვით დანაშაული ფრანგებს, რომელთაც «მაიმუნურათ» გადმოიღეს ინგლისელებიდან ეს ცრუ-მორწმუნეობა.

ნიცშემ კარგათ იცის, რომ ეგრეთ-წოდებული „კეთილნი“ ჯვარზე აცმევენ მას ამდენი ერეტიკული აზრების გამოთქმისათვის და ამიტომ ამბობს ალბათ: «მე უკვე დავტოვე ცხოვრების მასწავლებლობა; ასეა ჩემი იღბალი; კურთხეულ იყოს იგი!“.

ა. ჩხენკელი.

---

### განახლებული «ივერია».

ოცდასუთი წლის არსებობის შემდეგ «ივერია»-მ შეიგნო, რომ ჩვენი ცხოვრება იცვლება და „საქართველო, ნე-

ლანელა და დანდათან გკროშილდება“, მაგრამ თვით ეს გაკროშილება რაღას ნიშნავს ან რას მოასწავებს, ეს კი ვერ შეუგნია; ამას ნათლად ამტკიცებს განახლებული გაზეთის მეთაური, ბ-ნი ურბნელის «სადღეისოდ» და გ. თუმანიშვილის „რომელი დასი?“ ამდენი ხნის ჯიუტობის შემდეგ «ივერია» მიმხვდარა, რომ «ახლა წინ უნდა ვიცქირებოდეთ», მაგრამ უკან-უკან ცქერამ იმდენად გაუჩერა მას თვალები, რომ წინ ვეღარაფერს არჩევს, განვლილი გზაც აღარ აკმაყოფილებს, რა გზას დაადგეს, აღარ იცის და ამ გზაკვალის არჩევას უწოდებს ის განახლებას! პირველად მან გვაუწყა, მე მეტად ლამაზი ვარ; მაგრამ თუ ჩემი სილამაზე ვერ დაგანახვეთ, ეს პატარა ფორმატის ბრალიაო. მაგრამ ახლა თვითონვე შეუგნია, რომ უდროვო დროს იოხუნჯა და აცხადებს «საქმე ისაა,—რა ახალს გზასა და მიმართულებას დაადგება ჩვენი გაზეთიო»: მადლობა ღმერთს, ძლივს არ შეუგნია ახალი გზის საჭიროებაო! იტყოდა მკითხველი ამ სტრიქონების წაკითხვის დროს, მაგრამ თითქოს უკანიდან მუშტი წაკრეს «ივერიას», ეგ ნამეტანი მოგივიდაო, ისე მალე ისევ უკან დაცხადებს: აქამდინ „ჩვენთა საეროვნო მისწრაფებათა და წადილთა“ და მრავალთა სხვა „თათა“ გამომსატველი ვიყავი და ჩემი მცნება აწიც იგივე იქნება; მაგრამ პროგრესიული ელფერი დავდებაო, პროგრესიულ მოძრაობაში დავიწყებ ცხოვრების გაკვეთილების მებნასო. აქედან ცხადია, რომ წინანდელი ელფერი თავისი მცნებისა გაზეთს არ მიაჩნია პროგრესიულად. ახლა მოისმინეთ, რაში გამოიხატება პროგრესიული ელფერი. «კლასებრივი მიმართულების ვიწრო ბილიკით სვლა» „ივერიას“ არა წამს, მას უნდა «მთელი ერის გულისა და სულს მიაღწიოს» და ამიტომ მისთვის ფართო გზაა საჭირო, გზა საეროვნო და პროგრესიული. მან თურმე კარგად „უწყის ჩვენი ერის გულის ნადები, მისი იმედი და სასოება“ —ეს გახლავთ ენა, მიწა-წყალი, სარწმუნოება! გაიგეთ მკითხველო, რაში მდგომარეობს «ივერიის» ახალი გზა და პროგრესიული მცნება? ეს გახლავთ იგივე დაობებული აზრები და ზოგადი მცნებები, რომლებითაც «ივერია» 25 წელიწადია მიდის და ფონს ვერ გავიდა და აწი ხომ სულ ვეღარ გავა. თუ ამ დაობებული აზრებით დღემდე ვერ მიაღწია მთელი ერის გულსა და სულს, ნეტავ ჭკონია დღეს მიაღწევს? თუ აქამდინ ვერ შეიგნო ჩვენი ერის გულის ნადები, აწი სულ ვეღარ შეიგნებს, რადგანაც ის სრულებით მოწყვეტილია ჩვენი ცხოვრებას მსვლელობას და გულზე ხელებს რომ დაიკრეფდეს და თვალებს დახუჭავდეს, გაცილებით უმჯობესი იქნება. ამგვარად, პროგრესიული ელფერი „ივერიას“ თავის თავის მოტყუილება გამოუვიდა, ახალი გზა — ისევ ძველი აზრების გამომზეურება და მისი განახლება გამოიხატა ათასჯერ გადაღეჭილი და გაცვეთილი მცნებების ხელახლა გამეორებაში. „ივერიას“ თვითონაც შეუგნია, რომ სხვა ნაირად განახლება მას აღარც შეუძლია და აღარც დრო არის და ამიტომ მეთაურში ცოდვათა მონანებასაც შედგომია. სიბერის დროს ესეც საჭიროა. „ვინც შეურიგებლად და ინკვიზიტურად ეპყრობა სხვის აზრს, იგი აზრის თავისუფლების მტერია და ღირსიც არ არის ლიტერატურულ მოღვაწეობისაო“, გულახდილად აღიარებს ის. ჩვენც გულახდილად მოვახსენებთ, რომ სხვისი აზრის შეურიგებლად დევნაში იმდენი მხნეობა არავის გამოუჩენია, როგორც «ივერია»-ს და არც გვწამს, რომ შემდეგში მაინც აცდეს ის ამ გზას. განახლებული მეთაური და სადღეისოთ ერთი მეორის დამატებაა. ბ-ნ ურბნელს უთუოდ «ივერიასთან» ერთად ტკბილის ძილით ეძინა ეროვნული მოძრაობის საკარმელში, დღეს რადაც მანქანების ძალით გამოღვიძებია, მაგრამ ის, რაც დიდი ხნის ისტორიას ჩაბარდა, მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად მიაჩნია, თითქოს მეცნიერებასაც მასთან ერთად ეძინებოდეს. ჩვენ ეროვნულ მოძრაობას ვემსახურებოდით და ახლაც ამ მოძრაობას ვემსახურებითო, გვიცხადებს ის; ვარწმუნებთ ბ-ნ ურბნელს, რომ ეროვნული მოძრაობის მსახურება დღეს—იგივე უპროგრამობაა. ჩვენ თუ ამას ვუწუნებდით ყველას და აწიც დავუწუნებთ, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ არ გვრწამდეს სამშობლო ენა, ისტორია, ლიტერატურა, ჩვენი ერის ინტერესები და სხვ., არამედ იმიტომ რომ ეროვნული მოძრაობა ისეთი ბუნდოვანი და ზოგადი მცნებაა, რომლის ქვეშაც თამამად იყრის თავს ყოველგვარი მისწრაფებისა და მიმართულების ხალხი. განა თვით «ივერია»-ს ცოტა შეცდომანი და შეცდომაზე უფრო მეტიც ჩაუდენია ეროვნული მოძრაობის სახელით? ბ-ნი ურბნელის აზრით მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ «ერი რთული ორგანიზებრივი სხეულია და ამ სხეულს სხვა-და-სხვა ასო და ნაწილი შეადგენს“. ერი—ორგანიზმია,—აი რა დაუმტკიცებია მეცნიერებას! რა კარგს იზამს ბ-ნი ურბნელი, რომ ჩვენც შეგვატყობინებდეს, როდის ან სად დაამტკიცა მეცნიერებამ ერის ორგანიზმობა? ორგანიული თეორია, რომლის შესახებაც ბ-ნ ურბნელს ამდენი ხნის ძილის შემდეგ რაღაც გაუგონია, დღეს იმდენად უარყოფილია მეცნიერებაში, რომ ამაზე ლაპარაკიც კი მეტია და ჩვენც «ივერიის» მეცნიერებისთვის დაგვილოცნია სავსებით. მაგრამ ვნახოთ, რისთვის დასჭირდა „ივერია“-ს ორგანიული თეორიის აღდგენა? აი რისთვის: «ივერია» ნაციონალური მოძრაობის მიმდევარია; „ერის თვითეულ ნაწილს და ასოს თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს... ასეთს ნაწილს და ასოს შეადგენენ ერის სხვა-და-სხვა ჯგუფნი და წოდებანი. კერძოთ ჩვენი ერიც სხვა-და-სხვა წოდებისგან შედგება“. ახლა ხომ მიხვდი, მკითხველო! ჩვენში არსებობს თავად-აზნაურობა და გლეხობა; ისინი ნაწილს წარმოადგენენ საზოგადოებრივი სხეულისას, ნაწილის მოსპობა ხომ მთელი სხეულის სიკვდილს მოასწავებს და აქედან ერთად ერთი დასკვნაა: ჩვენი ერის ინტერესი მოითხოვს წოდებრივი წყობილების შერჩენას. აი ამაში გამოიხატება «ივერიის» ნაციონალური მოძრაობა! აი ამიტომ აღიარა ბ. ურბნელმაც ერის ორგანიზმობა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად. ცხოვრება რომ წინ მიდის, ამას ბ-ნი ურბნელიც გრძნობს და თუმცა ძველ წყობილებას ორივე ხელებითა და კბილებითაც ებღაუჭება, მაგრამ ცალი თვალით წინაც იხედება და გვანუგეშებს: მე წოდებრივ უპირატესობას კი არ ვიცავ, მე მინდა ერთობა, ძმობა და თანასწორობაო. რა საუცხოვო იდეალია! მაგრამ «ივერიის» ფურცლებზე ეს ძმობა და თანასწორობა «მამლის ბოლოა» და რამდენიც უნდა გვარწმუნოს ბ. ურბნელმა, მის «სამ ქვაკუთხედს» მისი ეროვნული მოძრაობა სრულებით არ უხდება. ამის შემდეგ ბ-ნი ურბნელი მაინც აცხადებს: «ჩვენი შრომა მიმართული იქნება, ნაფეოდალარი საქართველო ახალ ჯურისა და სახის ქვეყნად გარდაიქმნასო“. მერე იცით, რას ნიშნავს ეს «ახალი ჯური» და „ახალი სახე“? სწორედ იმის უარყოფას, რასაც «ივერია» იცავდა და აწიც დაიცავს და ორგანიული თეორიის საფუძვლებით ამ ,,ახალ სახეს“ არა თუ ვერ შექმნის, დანახვითაც კი ვერ დაინახავს, თორემ ამ სახეს კარგა ხანია ღებულობს ჩვენი ცხოვრება ბ-ნი ურბნელისა და ,,ივერიის“ დაუხმარებლად.

ძველ ურბნელს გამოუჩენია «ივერიის» ფურცლებზე პატარა ურბნელიც. ეს გახლავთ გ. თუმანიშვილი. რისი თქმა უნ-

და, რას ემსახურება დაბოლოს, რა არის მისი გადაჭრილი აზრი, ამის წერილიდან ისევე ვერ გაიგებთ, როგორც ბ-ნი ურბნელის წერილიდან. მასაც რაღაცის თქმა უნდა და ამავე დროს თითქოს ეშინია, ვერ ბედავს, ნამდვილათ კი... არ იცის, რა უნდა თქვას. „ჩვენი დრო ცვლილების ხანაა; ცხოვრების უწინდელი წყობილება დაირღვა... მოისპო ძველი იდეალები და მათი სანაცვლოთ ახალი იდეალები უნდა გამოირკვიოს საზოგადოებამო",— ამბობს ის და თვითონ მას უკვე გამოურკვევია ეს ახალი იდეალები: ეს გახლავთ ურბნელისებური წოდებრივი ჰარმონია ეროვნულ ნიადაგზე! ამ ჰარმონიას წოდება—სახლის სარგებლობა ანუ „ძველი მიმართულება", რომელსაც დაადგა თითქმის ევროპა უკანასკნელ ხანებში და დღეს კი პროგრესიული ელფერის მაძიებელი „ივერია". ბ-ნი თუმანიშვილიც ურბნელთან ერთათ «ვიწრო ბილიკით» სიარულს არ გადურჩულობს, ის ფართო გზით მიდის მთელი ერის სულისა და გულისაკენ; ის სახლის სარგებლობის ძებნაშია, მაგრამ წინდაწინვე კი ვფიქრობთ, რომ ვერ იპოვის, რადგანაც მას არა აქვს გამორკვეული, თუ რას წარმოადგენს ეს სახლი. „ძველი მიმართულების" წარმომადგენელი სახლი რაღაც განყენებული მცნებაა, რომელსაც ნამდვილ ცხოვრებაში არაფერი არ შეეფერება. ბ-ნი თუმანიშვილი გრძნობს, რომ უწინდელი წყობილება დაირღვა, მაგრამ ეს მხოლოდ ცხოვრებაში მოხდა, მის აზროვნებაში კი ისევ ძველის ძველი წყობილება სუფევს, თორემ მას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ის ცხადი ფაქტი, რომ სახლმა დიდი ხანია ერთიანობა და ეროვნობა დაკარგა, მის სხვა-და-სხვა ნაწილს სხვა-და-სხვა ნაირათ ესმის სარგებლობა და ამიტომ ერთი მიმართულება საერთო სარგებლობის ძებნისა გზაზე ცხოვრების გაუკეთრობის მიმართულებაა. აღსანიშნავია ბ-ნი თუმანიშვილის გონებრივი სიმარტე სხვა-და-სხვა მოვლენათა ახსნაში; აბა ყური დაუგდეთ. „ამ მოძღვრებამ მრავალი მიმდევარი მიიპოვა იმით, რომ თავის მოწინააღმდეგეს სახლის მტერს უწოდებდა, სახლის დაღუპვის მსურველთა», ამბობს ის მოწინააღმდეგეთა მოძღვრების შესახებ. „ივერია" ძველი გემოვნების გვამია და ამდენ მასხარას სწორეთ ამიტომ მოუყრია მის გარშემო ქვეშ თავი! ბ-ნი თუმანიშვილის თეორია რომ მართალი იყოს, მაშინ «ივერიის» ერთი მიმდევარი ხომ არავის ხელი ეყოლებოდა ჩვენში, რადგანაც სამშობლოს ციხის დარაჯათ თავის თავი მას მიაჩნდა და ვინც მისი გემოვნების არ იყო, ყველას მამულის მტრათ ათვლავდა!

---

## ბიბლიოგრაფია.

მიხ. ბე'ს. ხელთუფლიშვილი.—Вступленіе Грузіи въ составъ Росiйской Имперiи.

სანამ მ. ხელთუფლიშვილის წიგნის გარჩევას შევუდგებოდეთ, უნდა მოვიგონოთ რა არის საერთაშორისო სამართალი, რადგან ჩვენთვის საინტერესო შრომა მთლათ ამ სამართლის ნიადაგზეა დამყარებული: ყოველ პირობას და უფლებრივ ნორმას მხოლოთ მაშინ აქვს რეალური მნიშვნელობა, როცა მის დამრღვევს რომელიმე უმაღლესი ძალა და ავტორიტეტი მოთხოვს და აასრულებინებს კიდეც პირობას. ასეთ განწყობილებას ჯერჯერობით მხოლოთ სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებაში აქვს ორგანიზაცია, ერთა შორის განწყობილება კი ფაქტიურათ მოკლებულია სამართლის ნორმების დარაჯს, და ყოველგვარ სანქციას. აქ მხოლოთ ძალას აქვს მნიშვნელობა და ყველა თავის ინტერესის მიხედვით იქცევა. და რამდენიც უნდა გვიქადაგონ საერთაშორისო სამართლის პროფესორ-მეცნიერებმა: საერთაშორისო უფლება თუ სამართალი მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული, მისი დამცველი ყველა სახელმწიფოთა კავშირიაო, ვერ დაიჯერებთ, რადგან მათი აზრი და შეხედულება მხოლოთ მათ ტრაქტატებში რჩება, ცხოვრებაში კი სულ სხვაფერ არის მოწყობილი საქმე. მიხ. ხელთუფლიშვილის შრომაც ამ განყენებულ ნიადაგზეა დამყარებული. და ეს არის, თუ გნებავთ, მისი უმთავრესი ნაკლი, მაგრამ ეგ ჩვენი, პრაქტიკების, აზრით, თვით გამოკვლევა კი მეტათ საინტერესო და საგულისხმოა.

მიხ. ხელთუფლიშვილის შრომა პირველათ დაიბეჭდა 1891 წ. სპეციალურ იურიდიულ ჟურნალში („Юридическій Вѣстникъ") და ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოს არც მკითხველმა და არც კრიტიკამ, ნამეტურ ზ. ავალიშვილის წიგნის შემდეგ, რომელთან შედარებით ძალიან სუსტათ ეჩვენება კაცს ხელთუფლიშვილის წერილი, როგორც ისტორიული გამოკვლევა. მაგრამ ამ ორი შრომის შედარება ბევრს არაფერს გვეტყვის, რადგან მათ სულ სხვა-და-სხვა მიზანი აქვთ; მიხ. ხელთუფლიშვილი სწორეთ იმას აქცევს ყურადღებას და ის აინტერესებს, რაც ზ. ავალიშვილმა მხოლოთ გაკვრით მოიხსენია თავის, შედარებით, ვრცელ შრომაში. ავალიშვილის წიგნი წარმოადგენს ისტორიულ-პოლიტიკურ გამოკვლევას, ამიტომ მისთვის სავალდებულო იყო ვრცელი ისტორიული ცნობები მოეყვანა და გაერკვია, თუ რა პირობებმა აიძულეს ერთი მეორეს დამორჩილებოდა და მეორეს კი მიეღო «თავის მფარველობის ქვეშ» პირველი. ხელთუფლიშვილისთვის კი ეს მხარე ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს; მისთვის ფაქტიური მხარე მხოლოთ იმდენათაა საინტერესო, რამდენათაც ეს საჭიროა ხელშეკრულობათა იურიდიული მნიშვნელობის გამოსარკვევათ, და აქით აიხსნება თვით შრომის კონსპექტიური ხასიათი. ხელთუფლიშვილის შრომის ცენტრს წარმოადგენს უკანასკნელი თავი, სადაც იგი იურიდიული მხრით; საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ირკვევს რუსეთ-საქართველოს შუა დადგენილ ხელშეკრულობის ძალას და ვალდებულობას. მისთვის საჭირო იყო დაენახვებია, რომ ორივე მხარე (რუსეთი ერთი მხრით და საქართველოს პატარა სამეფო-საერისთავონი მეორე მხრით) თანასწორ იურიდიულ პირებს წარმოადგენდენ ხელშეკრულობის დროს და გვიმტკიცებს კიდეც. როგორც რუსეთისგან, ისე სპარსეთ-ოსმალეთისგან დამოკიდებულება ყოველ იურიდიულ მნიშვნელობას მოკლებული იყო. პირველთან ეს კავშირი მხოლოთ ნომინალურია, მეორეებთან კი ფაქტიური: თვით რუსეთიც პირობით ეკვრის საქართველოს სამეფოებს და არა მათ მბრძანებლებს, სპარსეთს და ოსმალეთს. რუსეთთან არსებულ კავშირზე კი ლაპარაკიც მეტია, რადგან 1783 წლის ხელშეკრულობა აშკარათ ხდის, თუ რა იყო ამათი წინანდელი განწყობილება. და თუ ორი თანასწორი მხარე ეკვრის რამე პირობით ერთმანეთს, რასაკვირველია, იგი ორივესთვის თანასწორათ სავალდებულოა: ერთის მხრით პირობების შესრულება სავალდებულოთ ხდის მეორესთვისაც მის დაპირებათა ასრულებას. და აი ამ ნიადაგზე აყენებს კითხვას განხსენებული ხელთუფლიშვილი. მისი გამოკვლევის უკანასკნელი დასკვნ

ის არის, რომ ხელშეკრულობათა ძალით რუსეთი უნდა ყოფილიყო სიუზერენი და საქართველო ვასსალი. ასეთია იურიდიული მხარე და მნიშვნელობა ხელშეკრულობათა.

ავტორთან ერთად ჩვენც გვწამს, მოვა დრო, როცა ყოველი საერთაშორისო კითხვა უომოთ, მედიატორეთა თუ სხვა სამართლით, გადაწყდება, ამას თხოულობს თვით ცხოვრების მიმდინარეობა. აქვე, საჭიროთ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ თვით ავტორის ფიზიონომია, რამდენათ იგი მის ნაწერში გამოსჭვივის. თუ ბ-ნი ავალიშვილი თავის წიგნიდან მაღლიდან ქვევით დაყურებს პატარა საქართველოს, მ. ხელთუფლიშვილი ყოველ ისტორიულ ცვლილებას თითონ გრძნობს. ის იმდენათ გრძნობს გარდამავალი ხანის მეთაურთა „შეცდომებს და დანაშაულს“ (სხვა კითხვაა რამდენათ მართალია ისტორიულ პირობების მიხედვით), რომ ზოგიერთი ფურცელი პოლემიკური გატაცებით არის დაწერილი. (იხ. გიორგი-XIII და ბატონიშვილების დახასიათება). სწორეთ ამან მიაქცევია ყურადღება იურიდიული მხარისათვის და ამანვე გამოიწვია საზოგადოებაშიც ის თანაგრძნობა, რომლითაც უკანასკნელი მიეგება მისი შრომის პირველ გამოცემას.

ჯერ კიდევ დიდხანს არ დაკარგავს ინტერესს მ. ხელთუფლიშვილის წიგნი, როგორც სპეციალური იურიდიული გამორკვევა და სასურველია, ისეთ დიდ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც ხსენებულ ავტორთა თემაა, სხვა მხრითაც შეეხონ ჩვენი ცხოვრების მკვლევარნი.

ნ. ელიავა.

## შავი ჭირი და მასთან საბრძოლველი ზომები.

შავი ჭირის უმთავრეს ეპიდემიების დასახელება ძველი დროიდან ჩვენამდის.—შავი ჭირის შხამის ძალის შესუსტება.—შავი ჭირი ინდოეთში 1894 წ.—შავი ჭირის მიკრობის აღმოჩენა იერსენისაგან და კიტაზატოსგან 1894 წ.—შავი ჭირის სამი სახე: ჯირკვლეული, ფილტვების და სეპტიცემიური და % მომაკვდავთა ყველა ამ სახეთა დროს.—ავათმყოფობის გამოცნობა ხშირათ შეუძლებელია, თუ ბაკტერიოლოგიური ცნობები არ გვექნება, განსაკუთრებით ძნელი გამოსაცნობია ჯირკვლეული შავი ჭირი.—შავი ჭირის წამლობა.—წინასწარი ზომები შავი ჭირის წინააღმდეგ.—იმუნიზაცია, ანუ ხელოვნურათ ავათ გახდენისაგან უზრუნველყოფლობა, დეზინფექცია, იზოლიაცია.—რატომ შავი ჭირის წინააღმდეგი შრატი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს.—გარეშე მიზეზები და შინაგანი.—აქტიური და პასიური იმუნიზაცია.—ხავკანის ლამფა და მისი ძალა.—დასკვნა.

(დასასრული.- იხ. № 51).

მას შემდეგ, რაც შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატის ხმარება შემოიღეს, შეიძლება ვთქვათ, რომ შავი ჭირი აღარაა საშიში ავათმყოფობა, რასაკვირველია, თუ შესაძლო იქნება, რომ ხალხს სავსებით მივაწოდოთ საჭირო დახმარება. რუსეთში შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი მზადდება პეტერბურგში ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტში. ეს შრატი ცადეს როგორც რუსეთში, აგრეთვე ინდოეთში, ქალაქ ბომბეიში და აღმოჩნდა, რომ ის არ ჩამორჩება პარიჟისას.

შრატის მოსამზადებლათ სარგებლობენ ცხენებით. ცხენს იმიტომ აძლევენ ამ შემთხვევაში უპირატესობას, რომ მისი ორგანიზმი უკეთესათ იმუშავებს შხამის საწინააღმდეგო ნივთიერებას, გარდა ამისა, ცხენი იძლევა ბევრ სისხლს, 10 ლიტრამდე თვეში, რისგანაც კეთდება 4-დან 5 ლიტრამდე საექიმო შრატი. იმ სისხლის გამოსაშვებათ, რომლისგანაც საექიმო შრატი მზადდება, ცხენს იმნაირათვე ეპყრობიან, როგორც ქუნთრუშის საწინააღმდეგო შრატის მომზადების დროს. აირჩევენ საღი აგებულობის ცხენს და ვენაში შეუშხაპუნებენ შავი ჭირის მიკრობის კულტურას. ცხენს პირველ ხანებში ცოტაოდნათ აციებს, მარა შხამს ძლევს, რაკი მისი სისხლი იმუშავებს შხამის საწინააღმდეგო ნივთიერებათ. ასეთ სისხლს რომ კიდევ მეტი ძალა მიეცეს საბრძოლველათ, რამდენჯერმე კიდევ განმეორებით შეუშხაპუნებენ ცხენს სისხლში ჭირის მიკრობების კულტურას. ამ დროს ცოტაოდენ სისხლს გამოუშვებენ და ცდიან, თუ რამდენათ შეუძენია მას შხამის საწინააღმდეგო ძალა. ცდას ახდენენ შავი ჭირით დაავათმყოფებულ ზღვის ღორსა და მაიმუნებზე. როცა შენიშნავენ, რომ ცხენის სისხლისაგან მომზადებული შრატი საკმაოთ ძლიერია, მაშინ გამოუშვებენ რამდენიც შესაძლოა სისხლს, რომლისაგან დაამზადებენ საექიმო შრატს. შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატის სიცხოველე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ქუნთრუშას საწინააღმდეგო შრატის, რადგან პირველმა რომ ძალა გამოიჩინოს, საჭიროა ადამიანის სხეულში შეუშვან 200—300 კუბ. სანტიმეტრი, ქუნთრუშის საწინააღმდეგო შრატი კი 10—12 კუბ. სანტიმეტრი. ამის გამო შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატის ხმარებაც უფრო ძნელია, განსაკუთრებით როცა საექიმო ბევრი ადამიანია. ჭიქა ნახევარი სითხის შეშხაპუნება კანს ქვეშ არაა ისე ადვილი, როგორც მეათედი ჭიქის. პირდაპირ ვენაში შეშვება, თუმცა აძლიერებს წამლის მოქმედებას, სამაგიეროთ პრაქტიკულათ გაცილებით უფრო ძნელია და მოითხოვს მეტ გამოცდილებას და დროს.

მეტათ საინტერესო საკითხია: როგორც შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატის, აგრეთვე ქუნთრუშას საწინააღმდეგო შრატის შეშხაპუნებას რატომ არ მოდევს სულ ყველა ავათმყოფების მორჩენა? როცა ქუნთრუშას ექიმობენ, მაშინ კვდება 8—14% ავათმყოფი. რაც შეეხება შავ ჭირს, ჩვენ შეგვიძლია ბომბეიში გაგზავნილ ექიმების მოხსენებიდან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ შავი ჭირისაგან ექიმობის დროსაც იხოცება 50—60 პროცენტი. მართალია უფრო იხოცება ღატაკი, ბინძურათ მცხოვრები და ცუდი საზრდოს მქონე ხალხი, მარა მაინც ეს გვიჩვენებს, რომ სოციალურ პირობების გარდა, არსებობენ ისეთი პირობები ადამიანის ორგანიზმში, რომელნიც უშლიან საექიმო შრატს თავისი გამკურნებელი ძალის გამოჩენას. ამ მოვლენას ასე ხსნიან: როცა მავნე მიკრობი დაიბუდებს ორგანიზმში, ის თავის მოქმედებაში გამოიცილებს შხამიან სითხეს, რომელსაც სახელათ ქვია ტოქსინი. ეს ტოქსინი უერთდება უჯრების პროტოპლაზმას და ამნაირათ თავის მომშხამველ ძალას ცოტათ თუ ბევრათ იჩენს ამ უჯრებზე ავათ გახდომის პირველ წუთებიდანვე. თუ პროსტოპლაზმამ შეძლო მოწამლვისაგან გადარჩენა, მაშინ ორგანიზმი სრულიად მორჩება და თუ შხამი უჯრაშივე დარჩა და სისხლში არ გამოვიდა, სადაც

ის შეხვდება შრატს და ამ ნაირათ მოისპობა, იმ შემთხვევაში ვერავითარი შრატი ვერ უშველის. მაგალითათ, თუ თავიდანვე მოიშხამა გულის ნერვების უჯრები (გულის ნასკვები) და შხამი სულ ამ უჯრებში დარჩა და სისხლში არ გამოვიდა, იმ შემთხვევაში ავათმყოფი შეიძლება მოკვდეს მე-7-14 დღეს გულის უეცარი დამბლით. პირიქით, თუ ორგანიზმი საგრძნობელათ არ მოწამლულა, შხამი (ტოქსინი) კი თანდათან გამოდის სისხლში ამა თუ იმ თავის ადგილობრივ ბინიდან, როგორც მაგალითათ ფილტვებიდან, ლიმფატიური ჯირკვლებიდან, ამ შემთხვევაში შედარებით სუსტ შრატსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ შრატის შეშხაპუნების შემდეგ ჩვეულებრივათ ტემპერატურა რამდენიმე საათში იკლებს და ნორმალური ხდება, ბურანი და ბოდვა კლებულობს ან სულ ქრება, მაჯა და სუნთქვა უმჯობესდება და ავათმყოფი რჩება.

აქედან აშკარაა, რომ ექიმს მაშინვე უნდა მივმართოთ, რაკი ავათმყოფობის ეჭვი დაგვებადება. მკვდართა რიცხვი იმ შემთხვევაში, როცა ექიმობენ შრატით, პროფესორი ვისოკოვიჩის გამოთვლით, უდრის 35—40%. ასეთი დიდი პროცენტი, პროფესორის აზრით, აიხსნება იმით, რომ 1) შრატს ძალა სუსტი აქვს, 2) ავათმყოფები გვიან მიმართვენ ექიმს, 3) ზოგიერთ შემთხვევაში მეტათ ჩქარა იწამლება ორგანიზმი.

რადგან ექიმობის დროსაც შავი ჭირი ბევრს ხოცავს, ამიტომ მეტათ დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს სენისაგან დამცველ ზომებს. აქ ჩვენ არ შევეხებით ვრცლათ საზოგადოებრივი ხასიათის ზომებს. ბომბეიში შემოღებული იყო შემდეგი ზომები. ქალაქი დაყოფილი იყო 27 უბნათ, თვითეულ უბანში მუშაობდა ოთხ-ოთხი ექიმი; ქალაქში თვალ-ყურს ადევნებდენ წამსვლელთ და მომსვლელთ. პირველთ უსათუოთ გასინჯავდენ. თვითონ ქალაქში იმ სახლებს, რომლებშიაც ვინმე ავათ გახდებოდა, ალყას შემოარტყამდენ, ავათმყოფი გადაყავდათ შავ ჭირიანთათვის მოწყობილ საავათმყოფოში, მთელი ხალხი კი მიყავდათ საგანგებოთ მოწყობილ შენობაში ქალაქ გარეთ. ამის შემდეგ სახლს გაუკეთებდენ დეზინფექციას, და თუ ათი დღის განმავლობაში სახლიდან გაყვანილი ადამიანი ავათ არ გახდებოდა, მაშინ ისევ აბრუნებდენ სახლში. ავათმყოფთა მოსანახავათ შედგენილი იყო საგანგებო რაზმები, რომელნიც ათვალიერებდენ ყველა უბნებში სახლებს. საკარანტინო ზომები, რომელთაც ასეთი ცოტა მნიშვნელობა აქვთ ხოლერის დროს, აქ მეტათ სასარგებლონი გამოდგენ. ეს იმით აიხსნება, რომ ხოლერა უმეტესათ ვრცელდება წყლის შემწეობით, შავი ჭირის ბაქტერიები კი წყალში ვერ მრავლდებიან და ცოტა ხანში კიდეც იხოცებიან; გარდა ამისა, შავი ჭირით ავათმყოფთა განავალში ბაქტერიები ცოტაა და მდინარეში სარეცხის რეცხვასაც არ აქვს ისე დიდი მნიშვნელობა, ზემოხსენებული ზომები მიღებულ იქნენ რუსეთშიაც — ოდესაში და აგრეთვე ბათომშიაც.

**იმუნიზაცია.** იმუნიზაცია არის ხელოვნურათ განვითარება ორგანიზმში ისეთი ძალების, რომელნიც წინააღუდგებიან ავათ გახდენას, ე. ი. ორგანიზმს უზრუნველ ყოფენ სენისაგან; ორგანიზმის მიერ შეძენილი თვისება, რომელიც მას იცავს სენისაგან, არის იმუნიტეტი და წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან «immunus», რაც ნიშნავს შიშს გარეშე მყოფს. როგორც ყვავილის სითხის აცრით ჩვენი ორგანიზმი თავს იცავს ნამდვილი ყვავილისაგან; ისე შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატის შეშხაპუნებით ის უზრუნველყოფილია შავი ჭირით ავათ გახდომისაგან. შავი ჭირის წინააღმდეგ იმუნიზაციას ყოფენ ორ გვარათ: პასიურათ და აქტიურათ. პასიური იმუნიზაციისათვის საკმარისია შეუშხაპუნოთ ადამიანს 10—20 კუბ. სანტ. შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი; აქტიურ იმუნიზაციას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმში შეუშვებთ არა შრატს, რომელშიც უკვე არის ცხენის ორგანიზმის მიერ დამუშავებული შხამის წინააღმდეგი ძალა (ანტიტოქსინი), არამედ თვით შხამს სითბოსაგან დახოცილი შავი ჭირის ახალგაზდა ბაქტერიების სახით. ამ უკანასკნელის გავლენით თვით ადამიანის ორგანიზმი დაიმუშავებს იმ შხამის საწინააღმდეგო ძალებს, რომელნიც საჭირონი არიან სენთან საბრძოლველათ. როცა ადამიანის ორგანიზმში შეუშვებთ აქტიურ შხამს, თავდაპირველათ ის არამც თუ არ იძენს სენის საბრძოლველ თვისებებს, პირიქით უფრო ადვილათ ემორჩილება მას. სამაგიეროთ მერვე დღეს მასში უკვე დამზადებულია შხამის საბრძოლველი ძალა, რომელიც უფრო ძლიერია და უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე პასიურ იმუნიზაციის დროს. პასიური იმუნიტეტი შრატის შეშხაპუნებისთანავე ჩნდება და ძალა აქვს 10-დან 14 დღემდე. აქტიურ იმუნიტეტს მივიღებთ რვა დღის შემდეგ, სამაგიეროთ ის რჩება თავის ძალაში 1-დან 3 თვემდე. ხავკინის ლიმფა (სითხე), რომელსაც აგრეთვე ხმარობენ იმუნიზაციისათვის და გაცილებით კარგი შედეგებით არის აქტიური იმუნიზაციის შეცვლა. როგორც ზემოთ ვთქვით, აქტიური იმუნიზაციისათვის შეუშხაპუნებენ ორგანიზმში სითბოთი ($60^0$) მოკლულ შავი ჭირის ახალგაზდა ბაქტერიებს; ამ გზით იმუნიტეტს მივიღებთ მერვე დღეს. ხავკინმა აღმოაჩინა, რომ თუ ავიღებთ არა ახალ ბაქტერიებს, არამედ ბულიონში გამრავლებულს $1—1^1/_2$ თვის ბაქტერიებს, მაშინ იმუნიტეტი დგება გაცილებით უფრო ადრე—ორი-სამი დღის შემდეგ. ხოლო მისი ძალაც უფრო ხან-მოკლეა—გასტანს 2 კვირამდე. აქედან ჩანს, რომ ორივე ნაირ იმუნიზაციას აქვს თავისი ღირსება და ნაკლულევანება. პრაქტიკაში ორივეს იყენებენ შემთხვევის მიხედვით. ასე მაგალითათ, თუ იმუნიტეტი გსურთ ხელათ მიიღოთ, მაშინ გამოიყენებთ იერსენის შრატს. ხოლო თუ უფრო ხანგრძლივი იმუნიტეტის მიღება უნდათ, მაშინ მიმართვენ ხავკინის «ლიმფას». ამ ლიმფის შესახებ სტატისტიკამ დაგვანახვა, რომ ის ნამდვილ იმუნიტეტს იძლევა. ასე 88000 ადამიანიდან, რომელთაც ხავკინმა შეუშხაპუნა ლიმფა, ავათ გახდა მხოლოთ 70 და ისიც ალბათ იმიტომ, რომ იმათში წამლობამდი უკვე იყო ავათმყოფობა მალული სახით *).

ამნაირათ თუ სისწორით მივიღებთ ზევით ნაჩვენებ ზომებს, შავი ჭირი აღარ იქნება ჩვენთვის ისეთი ზარდამცემი მოარული, როგორიც ის იყო ძველ და საშუალო საუკუნოებში. საზოგადო კულტურამ და მისმა შვილმა—მეცნიერებამ დათრგუნეს ეს ადამიანის საოცარი მტერი. კაცობრიობა თავის დღეში არ დაივიწყებს დიდე-

*) ცნობილია, რომ შავი ჭირი ორიდან 6 დღემდე ადამიანში არ იჩენს თავს; ეს დროა ავათმყოფობის მალული პერიოდი.

ბულ პასტერს, რომელმაც შექმნა მეცნიერული მოძღვრება იმუნიტეტზე. ბერინგი, რუ, იერსენი, ხავკინი, კოხი —სულ ყველა ესენი მიდიან იმ გზით, რომელიც გაიკვლია პასტერმა.

ექიმი.

---

## სამშობლოს ცაზე.

„ივერია“ ამ სიბერის დროს მეორეთ გაგვითხოვდა. განექორწინა თავის პირველ ტარიელს და მითხოვდა მის მეგობარ ავთანდილს ალ. სარაჯიშვილს. როგორც ნამდვილ ქართველთ შეეფერება, ქორწილი დიდი ზეიმით გადაიხადეს. სათამადო „რეჩიდან“ შევიტყეთ, რომ აქნობამდე პატარძალი ხმარობდა მხოლოთ ქართულ ფერ-უმარილ-ლახოსტაკს, მაგრამ, რადგანაც დღეს დრო გამოიცვალა; ამიტომ, «დროთა ვითარების გამო...» მასაც სურს „აზიური ხასიათი ევროპიულათ“ შეცვალოს. ე. ი. ავლაბრის მაგიერ პარიჟიდან გამოიწეროს ზემოხსენებული კოსმეტიური საშუალებანი და მით დაადგეს „პროგრესიულ“ გზას. დაგვილოცნია ჩვენი მათუსალასთვის თარიცა და ჩონგურიც, მაგრამ გვეშინია კი რომ საიქიოს არ გამოადგეს ეს ორკესტრი.

*
* *

ნამდვილი წყაროებიდან შევიტყეთ, რომ არც ერთი სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოება აღარ იზღვევს ტყიბულის მცხოვრებთა სიცოცხლეს; მიზეზი ამისა ყოფილა ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რომელიც მიიტანს თუ არა მგზავრებს ტყიბულის სადგურთან, გადმოყრის შუაღამისას ვაგონებიდან და გაუშვებს ისე მგლის ანაბარა. ამ სადგურზე არ არის თურმე ოთახი, საცა მგზავრებს შეეძლოთ დაემალონ ნადირსა და სიცივეს. ასე რომ მგლის ანაბარათ დატოვებულნი შუაღამისას გარეთ სიცივეში კბილებით აძლევენ «პოეზდს» სიგნალს შებრალებისას და შეწყნარებისას. ამავე ახირებულ სადგურიდან წარსულ კვირას ერთი დეპეშა მოუვიდა რკინის გზის მმართველობას: „მსწრაფლმატარებლით გამოგვიგზავნეთ ერთი ლოკომოტივი და რამდენიმე ჩანგალი. საჭიროა გამოვათრიოთ ოთახიდან ნაგავ ქვეშ მოტანებული კონდუქტორებიო“. არ ვიცით დროზე განიხილა ეს დეპეშა გზის მმართველობამ თუ არა, ხოლო ეს კი შევიტყეთ, რომ აგერ რამდენიმე წელიწადია ზემოხსენებული კონდუქტორები უმტკიცებენ რკინის გზას, ჩვენ ჭიჭყინები არა ვართ, არ გამოვდგებით სარდინკისათვის, ოთახის მაგიერ ნუ გვაწყობთ კოლოფში და მარილის მაგიერ ნუ გვაყრით ზედ ნაგავსო. მიუხედავათ ამისა სულგრძელ მართველობას აქნობამდე არ დაუნიშნია ექსპერტი იმის გამოსაცნობათ, მართლა ადამიანები არიან კონდუქტორები თუ სასარდინკე ჭიჭყინები? ან რამდენი ორთქლის ძალა იქნება საჭირო, რომ დანარჩენ სადგურებზედაც დაინიშნოს ნაგავ ქვეშიდან გამოსათრევი კონდუქტორების პოეზდი!

* *
*

როგორც ვიცით, „ივერიამ“ წარსულ კვირას თავის ახსარებაში თქვა, რომ ამიერიდან თავს ვანებებ კიბოსთან ყოველგვარ ალებმიცემობას, მისი ხომალდით სიარულს, და სამაგიეროთ ქალაქ «პროგრესიდან» ვიწერ ნიშადურსო. გულ-ალალ-მართალ «ცნობის ფ-ლს» მართლაც დაუჯერებია «ივერიის» ზემოხსენებული განცხადება და, ძაან გაკვირვებია, როდესაც «ივერიის» იმავე ნომერში წაუკითხავს 40° სიცხით შეპყრობილ სატირიკოს მაყაშვილის ვითომდა სატირა „ბიბლიოთეკის დაარსება“. «ნუ თუ „განახლებულ“ რედაქციაში (გაპროგრესებულ «ივერიაში», დავუმატებთ ჩვენ) ერთი კაცი მაინც არ აღმოჩნდა, რომელსაც ცოდნოდა, რა განსხვავება არის პასკვილსა და სატირას შორისო?» ...„რცხვენოდეს გაჭალარავებულ „ივერიას“: მის მაგიერ, რომ ახალგაზდა მწერლისათვის აეხსნა მისი ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი, მან ხელი შეუწყო მის შეცდომას და მრუდე გზაზე დააყენაო“ — რომ აქ გასაკვირვებელი და გასაცვიფრებელი არა არის-რა, ამაზე დამეთანხმება თვით ისტორია „ივერიისა“ და მისი ოცდახუთი წლის შკოლა ლანძღვა-გინების კათედრით. რომ არ უნდა რცხვენოდეს „ივერიას“, რადგან „ახალგაზდა მწერალს ვერ აუხსნა მისი ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი“, ამის საბუთიც მხოლოთ იგივე „ივერიაა“, რომელიც დიდიხანია რაც ადგა „პროგრესის“ გზას და სხვა საძაგელ ნაკლულევანებათა შორის მან თავიდან მოიშორა და უარყო ესრეთ წოდებული „სირცხვილიც“. რომ „ივერიის“ რედაქციაში არ გამოჩნდა სატირისა და პაკვილის გამრჩევი «კაცი», არც ეს უნდა იყოს საკვირველი, ვინაიდან მართალია «ივერია» სიბერის დროს არ დაემორჩილა ბუნების კანონს და გაიზარდა, მაგრამ ფესვი და ნიადაგი კი იგივეა—და საკვირველი ის იქნებოდა ასკილს თურაშაული დაესხა.

მაინცა და მაინც ჩვენ სრულებით ვეთანხმებით „ცნ. ფ-ლს“ და მასთან ერთათ ვიტყვით, რომ «ივერიას» „ცილის წამებისა და პასკვილის გამეფება მოუნდომებია ჩვენ „პრესაში“. მაგრამ მოიკრიჟე ბატონო „ცნობის ფურცელო“ ცოტაოდენი მეხსიერება და წაიკითხე შენსავე გვერდებზე მაყაშვილისავე პასკვილათ დაწერილი და შენ მიერ სატირათ დაბეჭდილი (მარტში, ნომერი არ მახსოვს) «ნუგეში მტირალს». აი, ჩვენო ორთავა იანუსო, რას წერდა იგივე მაყაშვილი შენ გვერდებზე:

„კადილჯის მარქსის ბოდვა ნოტებზე,
აილეს თარი... იწყეს გალობა!
მზვარეულებმა და ლაქიებმა
მათ მისცეს მალე მაღალი ბანი
და შეუერთდენ ანგელოზთ ჰიმნებს
სოციალ-დემოკრატების ხმანი“ და სხვ.

როგორც ხედავთ, „ცნობის ფ-ლმა“ პატარა მარქსი საგიჟეთში გაგზავნა და დიდებული ბ. კ. მაყაშვილი კი თავის სიბრძნის კოლოფში შეინახა! ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ «ცნ. ფ-ლის» რედაქციაში არ აღმოჩნდა ავტორის ჭკუაზე დამრიგებელი და პასკვილის სატირისაგან გამრჩევი კაცი. მაგრამ კარგი იქნებოდა თავისსავე გულში ჩაეხედა „ცნ. ფ-ლს“ და იქნება საყვედურის მაგიერ აღძროდა ნათესავური გრძნობა გაზ. «ივერიისადმი». მართალია, ზემოხსენებული პასკვილი «ცნ. ფურცელმა» წელს მარტში დაბეჭდა და შეიძლება იმის შემდეგ აზრი გამოიცვალა თვეთა და დღეთა ტემპერატურის მიხედვით, შეიძლება აპრილში უარყო მარტი და მაისში აპრილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის დღესაც რიხიანათ გვიცხადებს „მე იმავე პოზიციაზე ვდგევარ და არც მარცხნივ არც მარჯვნივ არ დაგვიწევიაო“, უთუოთ ეს სიტყვებიმხოლოთ ბ. კ. მაყაშვილის პამფლეტით გამოთქმულ პროგრამას შეეხებოდა, თორემ ვინ არ იცის, რომ წელიწადში «ცნობის ფურცელს» 365 (თუ უნაკლო) პარა-

სკევი აქვს, რომელიც მისთვის ხან მარხვით მოდის და ხან ხსნილით.

რიგოლეტო.

## ქართული თეატრი.

წარსულ ხუთშაბათს, თუმცა ხუთშაბათის წარმოდგენები იმართება ხოლმე ჩვენის ბრწყინვალე წოდებათა გემოვნების მიხედვით, მათგან მაინც მეტად ცოტანი დაესწრენ. ამ საღამოს თამაშობდენ 3 მოქმედებიან კომედიას «პედაგოგები» ო. ერნსტისას. და ერთ მოქ. გადმოკეთებულ კომედ. «თაიგული». პირველ კომედიაში, რამდენადაც კი თვითონ კომედია იძლეოდა მოქმედ პირების დამახასიათებელ მასალას, კარგი იყვნენ ჩვენი არტისტები. უფრო კი თვალსაჩინოთ თამაშობდენ ბბ. გედევანოვი, აწყურელი და ქ-ნი ჩერქეზიშვილისა. საზოგადოთ ამ კომედიაში დახასიათებული იყო; ფუქსავატი ცხოვრება მასწავლებლებისა, მათი უკუღმართი შეხედულება შკოლაზე, ერთმანეთის ბეზღება უფროსებთან, უფროსების დესპოტიზმი მასწავლებლების მიმართ, გათახსირება ყოველივე სიმართლისა და სინდისიერი მშრომელისა. აი ის ძაფი, რომელზედაც ავტორს აუკინძნია თანამედროვე სასწავლებლის გარეგანი და შინაგანი ცხოვრება; მაგრამ ზოგიერთი ადგილები მეტის-მეტად კარიკატურული და გადაჭარბებული გამოდიოდა.

მხიარულად ჩაატარეს კომ. „თაიგულიც“.

გასულ კვირას გონიერულად და შეგნებით ითამაშეს ჩვენმა არტისტებმა სუმბათოვის დრამა «ბორკილი». კარგი იყო ხამეტნავათ ქ-ნი ლეჟავა ახალგაზდა ქალის როლში და ბბ. გუნია და კ. მესხი.

საზოგადოთ სასურველია კვირაობითაც რიგიან და შინაარსიან პიესებს დგამდეს ჩვენი დრამატიული გამგეობა, და არ იტყუილებდეს ხალხს ცრუ-პატრიოტული სისხლით სავსე დრამა-ტრაგედიებით. შეცდარი აზრია, ვითომც ჩვენი მდაბიო ხალხი ვერ მიუხვდეს აწინდელ ცხოვრების დამახასიათებელ პიესებს; თუნდ ასეც იყოს, გონიერება მოითხოვს მისი გემოვნების გაწვრთნას და გაფაქიზებას ეცადოს ჩვენი თეატრიც...

## აკაკის წერილი *).

ქ-ნო რედაქტორო!

ერთმა ევროპიელმა ბრძენმა თქვა: «ბავშვებს ის არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო». და ეს ჭეშმარიტება სწორეთ ზედ გამოჭრილია თქვენს «ჯეჯილზე». მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ, თურმე, მაგ ჩინებულ საყმაწვილო ჟურნალს გამომწერლები ბევრი არა ჰყავს. ეს ან ქართველური დაუდევრობის ბრალი უნდა იყოს, ან გულ-გრილობის, და ორივე შემთხვევაში კარგი ნიშანი ვერ არის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის!—ის ოჯახი, რომელსაც სიღარიბე ხელს არ უშლის და სადაც ამგვარი ჟურნალ-წიგნაკები არ მოიპოვება, ქართულ ოჯახათ სახსენებელი აღარ არის!.. გამოცდილებით ვიცი, რომ საზოგადოთ ქართულ წიგნებს მკითხველები უფრო დაბალი წოდებიდან მეტი ჰყავს და რომ სიღარიბე ხელს არ უშლიდეს მათ, მსურველები ერთი ასათ მეტი გამოჩნდებოდენ. შეძლებული ქართველების მოვალეობაა, რომ, თვითონ თუ არ კითხულობენ, იმათ მაინც მიაწოდონ ხოლმე ეს სულიერი საზრდო და მათი მადლი მოისხან. მეც ჩემის მხრით, რადგანაც იმ ღარიბების დახმარება მატერიალურათ არ შემიძლია, გადავწყვიტე, რომ ყოველ ნომრისათვის მოგაწოდოთ ხოლმე მცირე რამ ჩემი სუსტი კალმის ნაწარმოები, მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ექვსი ცალი „ჯეჯილისა“ უსასყიდლოთ გაეგზავნოს ხოლმე ხელმოკლე მსურველებს.

თქვენი ჟურნალი „ჯეჯილის“ წარმატების მოსურნე აკაკი

*) ეს წერილი გადმოვბეჭდეთ „ჯეჯილის“ XII №-დან იმავე ჟურნალის რედაქციის თხოვნით.

## საქველმოქმედო საქმე.

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ პორფილე ილარიონის ძე კაშაკიძეს, რომელმაც მის მიერ შეგროვილი ფული 10 მანეთი გამოუგზავნა დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს და იმათაც, ვინც კეთილ ინება და შემოწირა: აი მათი სია: ილ. შალაკაძე — 2 მ., პორფ. კაშაკიძე — 2 მ., თითო მანათი: ილ. კაშაკიძე, ზაქ. კაშაკიძე, ელიზ. კაშაკიძე, დავ. კაშაკიძე, მის. კაშაკაძე — ათი შაური — ივლ. კაშაკიძე, ათი შაური.

დიდი ჯიხაიშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ივანე ლეჟავა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივ-ცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ გუბის შკოლის მზრუნველს ბ. ნესტორ წერეთელს, რომელმაც ამ მიმდინარე წლის განმავლობაში შემდეგი დახმარება აღმოუჩინა შკოლას: შემოწირა ფულად 30 მან., რომლიდან ოცი მან. მოხმარდა შკოლის სხვა-და-სხვა საჭიროების დაკმაყოფილებას და ათი მან. გამოწერილ იქნა შკოლისთვის ჟურნალები: «კვალი» და „ჯეჯილი“; ამას გარდა ღარიბი მოწაფეების დასარიგებლათ გადმოგცა 350 რვეული და დაუთმო შკოლას თავისთვის გამოწერილი ამ წლის „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ ყველა ნომრები. დახმარება აღგვითქვა ამავე სოფლის მცხოვრებმა ბ. ლუკან მოსეშვილმა, და იმედი გვაქვს, მალე შეგვისრულებს თავისს დაპირებულს და მით ცოტათი მაინც შეგვიმცირებს ჩვენი ღარიბი შკოლის ბევრ-გვარ საჭიროებას.

ს. გუბის მასწავლებელი მ. ბახტაძე.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, მიცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ წერილს: *) «კვალის» № 51-ში დაბეჭდილია წერილი ა. წ—ძის ოზურგეთიდან არჩევნების შესახებ, რომლის ავტორიც უმართლოთ მაწერს შემდეგ სიტყვებს: ,,ეს ჩვენი ოზურგეთი ევროპის უძველესი ქალაქია და დღეს დაპოსკებული დავაწინაუროთ, ხოლო მის დაწინაურებას შეიძლებს ისეთი კაცი — ხმოსნობა, როგორც ნიკო თაყაიშვილია. აბა მიბრძანეთ თაყაიშვილი განა პარიჟის პარლამენტში არ ვარგა! დიდი ზარალი იქნება, რომ დავკარგოთ''!! ასეთმა მოგონილმა წერილმა, როგორც მე, ისე ბევრი კრების დამსწრე გააკვირვა ოზურგეთში და საჭიროთ მიმაჩნია სიმართლის აღდგენა. ხმოსნობის კანდიდატათ მორის დასახელებული იყო პირველად მაზრის ექიმი — ხირურგი, დ. გ. ერისთავი, რომელსაც საზოგადოება მეტად კარგათ იც-

*) ვბეჭდავთ ბ. ბერიძის წერილს, რომლის შემოკლების ნება მივეცით ჩვენ თავს უადგილობის გამო. შეუმოკლებელი დასტამბვა გვაიძულებდა ორი №-ი მაინც გადაგვედვა და ეს უფრო საზიანო იქნებოდა მისთვის. თვით პასუხის შესახებ კი უნდა მოვახსენოთ, რომ დიდ განსხვავებას არ ახდენს იგი: ფაქტი ფაქტათ რჩება, რომ ბ. ბერიძეს ნ. თაყაიშვილის კანდიდატებისთვის „რეჩი“ წაუმძღვარებია, და თუ პარიჟის არა, პრუსიის პარლამენტში თავისუფლათ შეეძლო დაეთმო მისთვის ადგილი. რედ.

ნობს, **) მაგრამ რადგან თვითონ თ. ერისთავი კრებას ვერ დაესწრო, და წერილობითი თანხმობაც არ ქონდა გამოგზავნილი, კრების თავმჯდომარემ მოითხოვა თანხმობის ქაღალდი ან და პირადათ მისი დასწრება. ეს არც ერთი არ ხერხდებოდა, და ასეთი საჭირო გამოსადეგი კაცი ამ საქმეში რჩებოდა აურჩევლათ. ამისათვის მე, როგორც კარგი ნაცნობი ერისთვის, მაშინვე გავუცხადე საზოგადოებას, რომ თ. ერისთავი თითონ არ ითხოვს ოზურგეთის ქალაქის ხმოსნათ არჩევას, არამედ თითონ უნდა ვთხოვოთ მას დავარჩიოთ, რადგან ასეთი კაცი, როგორც დიმიტრი ერისთავია, არა თუ ოზურგეთის ქალაქის ხმოსნათ შედარებით პარიჟის პარლამენტშიაც შეიძლება იქნას არჩეული წევრათ თქვა. ამ დროს, როცა ოზურგეთის ქალაქის საქმე ცუდათ მიდის, უსათუოთ ასეთი კაცები გვჭირია დღეს, როგორც დიმიტრი ერისთავიაო. ოზურგეთი ბევრ ევროპის ქალაქზე უძველესია ხნით, მაგრამ დღეს ისე მოკიდებია მას პოსკი, რომ წინ ვერ მიდის, მისთვის რომ გულშემატკივარი და მცოდნე საქმის კაცი არ გვყავს თქვა. საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს რჩევა და აარჩია კიდეც მ სახებ ნიკო თაყაიშვილის სრულებით ეს სიტყვები არ თქმულა ჩემგან. კერძოდ მხოლოთ კრებას ამოურჩევიათ ხმოსნათ ნიკო თაყაიშვილიც თუ კი ის ძველ გადუხდელ ფულს იმ დღეს შემოიტანდა. ნიკო თაყაიშვილი არის ოზურგეთში ძლიერ კარგი მამულის პატრონი. მშრომელი კაცი მამისის და საგუბერნიო მთავრობასთან დაახლოვებული კაცი, როგორც ადგილობრივი მებატონე და სამსახურიდან გამოსული კონვოის აფიცერი. ასეთი კაციც ძლ შეიძლება აარჩიოს კაცმა ხმოსნათ ოზურგეთის ქალაქისთვის თვრამეტ კაცში.

პლატონ ბერიძე.

---

**) ჩვენი მკითხველებიც იცნობენ მას მისი »დემოკრატობით». რედ.

---

**«კვალის» ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნება «ჯეჯილის» განცხადება და ბლანკები.**

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

---

# განცხადებანი.

## ქართული თეატრი.

კვირას, 23 დეკემბერს 1901 წ.

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I.

## თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმ. გ. მესხისა.

II.

## ქ ო ნ ა ვ ი

ვოდევილი 1 მოქმ., რუსულიდან, ნ. გალუსტოვისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი. ბბ.: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

---

სა პოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

**ნახატებიანი გაზეთი**

## „კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში – არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან. საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

---

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატუროგაზეთი

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1902 წელსაც **გადიდებული** იმავე პროგრამით, როგორც წინეთ.

ფასი გაზეთისა: ერთი წლით—10 მან., $^1/_2$ წლით—6 მან., 1 თვით—1 მ. 50 კ.; საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელი წლით დაეთმობათ 8 მ.

თუ თფილისში დაბარებული გაზეთი თფილისის გარეშე ადრესზე შეცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მან.; ხოლო თუ თფილისის გარეშე ხელისმომწერელი ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა გამოგზავნოს 40 კ.

შეღავათი წლიურ ხელისმომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელი წლით დაიბარებს, იმას შეუძლია წლის ხელმოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანოს ამგვარათ: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1-ლ მარტს—2 მ., 1-ლ მაისს—3 მ. და 1-ლ სექტემბერს—2 მ.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი—5 კაპ., პირველზე—10 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით: თფილისი, „ივერიის“ რედაქციას, ნიკოლოზის ქ., 21. და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზ.“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სასახლე.

საფოსტო ადრესი: *Тифлисъ. Редакція „Иверіа“*.

დროებით რედაქტორი ალ. ი. სარაჯიშვილი.

გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

163 №7426


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.

# „Тифлисскій Листокъ"

(годъ изданія XXV-й.

Въ 1902 году, какъ и раньше, будетъ выходить ежедневно, но въ значительно увеличенномъ форматѣ.

Увеличивъ размѣры газетнаго листа до формата „Русскихъ Вѣдомостей", редакція ежедневно будетъ давать подписчикамъ приблизительно на 4 столбца или на 600 строкъ газетнаго матеріала болѣе, чѣмъ до сихъ поръ, получивъ такимъ образомъ возможность одни изъ отдѣловъ газеты, до нынѣ являвшіеся, за отсутствіемъ мѣста, случайными,—вести регулярно („Обзоръ печати" журнальное обозрѣніе, беллетристика и пр.). а другіе отдѣлы (внутренней и иностранной жизни и др.)—значительно расширить.

Особенное же вниманіе редакціи будетъ обращено на развитіе отдѣла корреспонденцій, чтобы газета могла явиться возможно полной выразительницей нуждъ закавказскихъ провинцій, безъ ущерба однако отдѣлу тифлисской жизни, на который и въ предстоящемъ году будетъ обращено преимущественное вниманіе.

Въ 1902 году газета будетъ заключать въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъ-отдѣлы:

I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства". III Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городского самоуправленія. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Наши корреспонденты. VIII. Злободневные фельетоны („Мысли вслухъ" «Мелочи жизни», «Бѣглыя замѣтки» и др.) IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (обшей и кавказской. XII. Фельетоны (городской, обозрѣнія кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетристика, иностранной и внутренней общественной жизни и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV Смѣсь, справочный отдѣлъ и объявленія.

Текстъ газеты по временамъ будетъ иллюстрироваться, а по мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя „ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ПРИБАВЛЕНІЯ".

По понедѣлникамъ подписчикамъ будутъ разсылатся телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

| ПОДПИСНАЯ ЦѢНА: | На годъ. р. | к. | На 6 м. р. | к. | На 3 м р. | к. | На 2 м. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Съ доставкой въ Тифлисѣ | 5 | — | 3 | — | 1 | 76 | — | 75 |
| Съ пересылкою иногороднымъ | 7 | — | 4 | — | 2 | 50 | 1 | — |
| Съ пересылкой заграницу | 12 | — | 7 | — | 4 | — | 1 | 50 |

ПОДПИСКА принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца исключительно въ конторѣ изданія. Головинскій просп., № 3.

Плата за объявленія: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: на первой страницѣ—10 коп., на четвертой страницѣ—5 коп.; за объявленія внѣ предѣловъ Закавказья: на первой страницѣ—21 коп. и на четвертой—12 коп.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.

(Х-й г. изданія)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

# РУССКОЕ БОГАТСТВО,

издаваемый

Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

*Подписная цѣна:*

На годъ съ доставкой и пересылкой 9 руб.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ 8 „
За границу . . . . . 12 „

*Подписка принимается:*

Въ С.-Петербургѣ—въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9. Въ Москвѣ—въ отдѣленіи конторы—Никитскія ворота, д. Гагарина.

При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе, допускается разсрочка:

при подпискѣ . . 5 р.
и къ 1-му іюля . 4 р.

или

при подпискѣ . . 3 р.
къ 1-му апрѣля . 3 р.
и къ 1-му іюля . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

Книжные магазины, библіотеки, земскіе склады и потребительныя общества, доставляющіе подписку, могутъ удерживать въ коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ, библіотекъ, земскихъ складовъ и потребительныхъ обществъ не принимается.

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1902 годъ (33-й годъ изданія) на еженедѣльный иллюстриров. ЖУРНАЛЪ со многими приложеніями

# НИВА

Гг. подписчики „Нивы" получатъ въ теченіе 1902 г.

**52 №№** художественно-литературнаго журнала „Нива", заключающаго въ себѣ въ теченіи года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

ПЕРВЫЕ **12 ТОМОВЪ** полнаго собранія сочиненій **Н. С. Лѣскова,** отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ, составленнымъ Р. И. Сементковскимъ. Остальные томы сочиненій Лѣскова, значительно дополненные произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія или еще вовсе не напечатанными, подписчики получатъ въ 1903 г. Въ Первые 12 томовъ войдутъ романы: Соборяне.—Обойденные.—Островитяне.—Некуда. Разсказы: Запечатлѣнный ангелъ.—Однодумъ.—Кадетскій монастырь.—Русскій демократъ въ Польшѣ.—Инженеры-безсребренники.—Косой левша.—Очарованный странникъ.—Шерамуръ.—На краю свѣта и мн. друг.

**12 ТОМОВЪ** полнаго собранія сочиненій **В. А. Жуковскаго,** расширеннаго формата, въ 2 столб., отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ поэта. Въ эти 12 томовъ, которые будутъ изданы подъ редакціею знатока Жуковскаго, профессора А. С. Архангельскаго,—войдутъ лирическія стихотворенія, баллады, повѣсти въ стихахъ, сказки, посланія, мелкія стихотворенія, прозаическія произведенія дневникъ и письма: Людмила.—Пѣвецъ во станѣ русскихъ воиновъ.—Овсяный кисель.—Шильонскій узникъ.—Поликратовъ перстень.—Кубокъ.—Спящая царевна.—Война мышей и лягушекъ.—Сказка о царѣ Берендеѣ.—Ночной смотръ.—Сельское кладбище.—Орлеанская дѣва.—Ундина.—Наль и Дамаянти.—Рустемъ и Зорабъ.—Одиссея и мн. друг., равно какъ и цѣлый рядъ еще неизданныхъ поэтическихъ произведеній знаменитаго писателя.

**12 КНИГЪ** „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРН. ПРИЛОЖЕНІЙ", содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи и проч.—современыхъ авторовъ.

**12 №№** „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ", выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300 и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ" на 1902 годъ, отпечатанный красками.

**Подписная цѣна** на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ **С.-Петербургѣ**—**5** р. **50** к., 2) въ **Москвѣ**—въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи) **6** р. **25** к., 3) въ **Одессѣ** въ кн маг. „Образованіе" (Ришельевск., № 12)—**6** р. **50** к. Съ доставкой въ **С.-Петербургѣ—6** руб. **50** коп. **Съ пересылкою во всѣ мѣстности Россіи 7** р. **За границу—10** руб.

Требованія просятъ адресовать: въ *С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала „Нива" (А. Ф. Марксу),* Малая Морская, д. № 22.